ფასი 10.000 მ.

# ბახტრიონი

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 10 ორშაბათი 11 სექტემბერი № 10

## ილია ჭავჭავაძე

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს ყავდა ორი პროვინდეციალი პიროვნება: ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ქართული პრობლემა შეიძლება ამ ორი პიროვნების შესწავლით აიხსნას. მაჩაბელზე ჩვენ ვიტოვებთ უფლებას მოკლე დროში დავწეროთ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის 15 წლის თავზე კი გვინდა ავნიშნოთ დეკლარაციით ის ტეზისები, რომელნიც შემდეგში გაიხსენებიან მაჩაბელის მონოგრაფიაში. გადაუმეტებელათ შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შეჰქმნა და კიდეც თავის სისხლით დაჰკირა.

ჩვენ შეიძლება ამ საუკუნის შესწავლის დროს ბევრი დეფექტებიც აღმოვაჩინოთ, განსაკუთრებით პოეზიაში, მაგრამ ერთი კი მაინც უცილობელია ამ დიდი ეპოქის მთავარი მბრძანებელი იყო მხოლოდ ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძემდი მწერლობა როგორც ასეთი ან როგორც პროფესია არ არსებობდა, საქართველო სირცხვილით დაიწვებოდა, რომ იმ მოკითხვას წერილების სტილი. რომელიც მაშინ არსებობდა საქართველოში დიდხანს დარჩენილიყო.

ილია ჭავჭავაძემ თავის დევის ხელით სრულიად გადატეხა ეს სტილი და ჩვენ გვაქვს უკვე ანალოგია მწერლობის ევროპის მაშტაბით.

მართალია, ჯერ არ არის შესწავლილი, მაგრამ ჩვენი დაკვირებით და თანამედროვეთა მოწმობით სამი მეოთხედი იმ სიტყვების, რომელსაც დღეს ხმარობს ქართული ჟურნალისტიკა ილიას მოგონილია. (ესთეტიკაში და ფილოსოფიაში მეოცე საუკუნეში გრიგოლ რობაქიძემ გადაიტანა ეს შრომა). შემდეგი თაობა ამას არ უკვირდება როგორც ის არ უკვირდება იმას ვინ მოიგონა ან შეჰქმნა პირველად ენა.

ამ ხნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძე იდგა როგორც გიგანტი, ყოველი მოზღვავებული ტალღა უცხო თუ შინაური იმას დაეტაკებოდა და ილიაც მოიგერებდა.

ყოველი გამოსვლა ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის აყენებდა იმ სანახაობას, როგორც ეხლა არტილერიის სიმფონია ომების დროს. და ეს ტანკა (როგორ ჰგავს ილია ამას ფიგურითაც) სტკეპნიდა ქართულ მწერლობას, ამის ნაკვალევს დევის ნაფეხური ჰქვია.

ამიტომ იყო ილია არავის უყვარდა, მაგრამ მისი ყველას ეშინოდა და ანგარიშს უწევდა როგორც კახეთის სეტყვას. და შეუძლებელიც იქნებოდა მისი ბუნებრივი და შეურყეველი მთავრობა თითქოს 40 წელი, რომ მას ასეთი მაგარი ხერხემალი არ ჰქონოდა.

ის რომ ქართული მწერლობა მაშინ არ არსებობდა გულისხმობდა იმას, რომ ილია ყველგან სცდიდა თავის თავს: ის იყო პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მეცნიერი რეჟისორი, ფინასისტი, ორატორი, ისტორიკოსი, და კიდევ რამდენი სხვა, და ამიტომ არის, რომ ჩვენ დღესაც არ ვიცით, რომელ ამ დარგში ვეძიოთ მისი ნამდვილი სახე.

ჩვენ ექვსი წლის წინად განვაცხადეთ, რომ ილია, როგორც პოეტი, მიუხედავათ იმისა, რომ ემორჩილებოდა თავის საუკუნეს ასცდა ნამდვილ პოეზიის რკალს, შეუძლებელიც იქნებოდა ილია ყოფილიყო მარტო პოეტი მაშინ, როცა ერს არ ჰქონდა არც ერთი ატრიბუტი მწერლობის და კულტურის, რომელიც მის დროს გაწყვეტილი იყო (ჩვენ არ ვეხებით წარსულს).

ხოლო რაც შეეხება პროზას უნდა ითქვას და ეს მადლიერი თემაა ახალი გამოკვლევისთვის, რომ ქართული პროზა შეჰქმნა ილია ჭავჭავაძემ და დღემდის მისი პროზა არ არის დაძლეული. ჩვენ აქ არ შეუდგებით ანალიზს მისი სტილისას, რომელიც მას აყენებს ყველაზე მაღლა, განსაკუთრებით საცოდავი არიან პროზაში ისინი ვინც ილიას ეხვიენ გარს, ეს შეიძლება ითქვას მის კრიტიკულ პროზის შესახებაც.

უნდა აგრეთვე ხსენება იმისაც, რომ ილიას ლექსი, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამორჩებოდა აკაკის ლექსს და მხოლოდ თანამედროვეთა უკულტურობას უნდა მიეწეროს, ის რომ ილიას აყენებდენ აკაკის დაბლა.

ასეთი ექსპლოატაცია მელანქოლიის ფუქსავატობის და „ზერელე ალმაფრენის“ რომლითაც აკაკი გადიოდა ფონს (ეს უკულტურობა დღესაც არის ჩვენში) მხოლოდ მალავდა უმწეობას, რომელიც დღეს ამხილა პოეზიამ, როდესაც ლირიკის „ჩყალი“ დაშრა და ლექსი გაიჭედა ფოლადით.

ამიტომ გაუგებარია, არტურ ლეისტის თქმა, რომ ილიას ოცჯერ უფრო სწამდა აკაკი, ვინემ უკანასკნელს ილია. (ვინ მისცა ამის უფლება აკაკის; და როგორ ეტყობა რომ ილიაზეც ჰქონია გავლენა ჯოგის ხმას თუმცა ეს შეიძლება ილიას ამაყობას მიეწეროს)

ილია ჭავჭავაძის მაგალითზე შეიძლება აგრეთვე დამტკიცება, რომ საქართველოს არ უყვარს დიდი ადამიანები, თუ ჯერ მათ სხვაგან არ გაითქვეს სახელი (ეს არის პრობლემა გიორგი საააძის)... ჩვენში არის ანალოგია. ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ზდანოვიჩი ირაკლი წერეთლი ნ. მარრი და თითქმის ყველა ვისაც ჩვენში აქვს დიდი სახელი. საქართველო ამ შემთხვევაში არის საკირე, რომელიც დასწვავს დიდ კაცს, თუ იმან მოინდომა ზევით ასვლა (ეს კი პირველი ნიშანია დიდი პიროვნების). ამიტომ წიწამური და მტკვარში დამხრჩვალი მაჩაბელი სიმბოლო არის საქართველოს გვირგვინის.

ამიტომ წიწამური იშლება დიდ ტრაგედიათ არა მარტო ჭავჭავაძისთვის, ეს გოლგოთაა პატარა ერის, რომელსაც წაეზრდება გენია.

და თუ დღეს პუშკინის სიკვდილი საგანია მონოგრაფიების და თვითონ ფუტურისტებიც კი სწერენ დრამებს მის სიკვდილზე (ვასილ კამენსკი და ვ. მაიაკოვსკი.) წიწამურიც გახდება მისტერიის საგნათ.

აქ ყველაფერის თქმა შეუძლებელია, საგაზეთო წერილის უადგილობის გარდა, ბევრი სხვა უშლის ძირამდი სინამდვილის თქმას.

ილიამ იცოდა ეს ძველი ისტორია და ამიტომ აქებდა ბაირონს, მიუხედავათ ამისა, რომ მისი ტემპერამენტი უფრო გიოტესას აგავდა, მას უფრო-შეეძლო „ვეიმარიდან გაპაროდა პროზას“ და „გაფიზის დაეტირა ვარდები.“

ჩვენში რომ გაჩნდნენ დადაისტები ისინიც ვერ უარყოფენ ილია ჭავჭავაძის დიდი ფიგურა, რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს მაშინ იქნებოდა სამუდამოთ დაბნელებული.

ამიტომ გასაგებია ის კალამბური რომელიც წამოცდა ვალერიან გუნიას რომელსაც, როცა შეეკითხა ერთი ფრანგი ჰყავს თუ არა დიდი კაცი საქართველოსო უპასუხაასეთი ფრანგულით:

Jly a un Jlia.

ილიას სიკვდილმა გულის ძარღვამდის შეარყია საქართველო, და ყველა უბრალო ხალხიც ამბობდა, რომ აქ არის დასაწყისი ახალი ეროვნული შეგნებისო, ამის ფაქტებს ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ.

ილიას პოეზიიდან მარტო წიწამური რომ დარჩეს, მაინც სამუდამოთ აატირებს საქართველოს და სამუდამოთაც იქნება თემა პოეზიისათვის. ამით ილიამ დაამტკიცა, რომ მწერლობა არის წამება, რომ საქართველოში თვითმკვლელობა და მკვლელობა, ორივე ბუნებრივი ხვედრია პოეტისათვის.

**ტიციან ტაბიძე.**



ილია ჭავჭავაძე.
მკვლელობიდან 15 წლის თავზე.
1907 30 აგვისტო (ძვ. სტ.)—1922 წ. (12 სექტ. ახ. სტ.)

## ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძე არის ბარაქა და ჯიში ქართული მწერლობის.

რუსთაველი ჯიშია, მაგრამ შვიდათ გაწოლილი საუკუნე სწოვს ამ უბეს. თანაც „ვეფხის ტყაოსანის“ პირდაპირი გავლენა ქართულ მწერლობაზე, ბაგრატიონებთან თავდება. ეს მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს.

მართალია, ვაჟაფშაველაც იყო ჯიში, მაგრამ ის იყო მთა, სასწაული, მოვარდნილი, თანაც ის იყო პრიმიტივი.

ამათ გარდა საქართველომ აღარ იცის მწერალი დიდი ჭკუის და შთაგონების.

აკაკი წერეთელი ბარათაშვილიდან გამოდის.

რაც კიდევ მისაღებია აკაკიდან ქართული მწერლობისთვის, მისი სამუდამო წყაროა, ნ. ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“. მთვარიან ღამესთან კი ჯიში არ არის. გრიგოლ ორბელიანმა მწერლობა არ ინდომა და თავისი ვაჟკაცური ხმა ქაშუეთის პანთეონში ჩაიტანა. ვერც ლავრენტი არდაზიანმა და ვერც დანიელ ჭონქაძემ, ვერ მოასწრეს გამხდარიყვნენ მწერლები. კიდევ იყვენ: სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, ივანე კერესელიძე, მაგრამ ესენი ისევ „კარგ მწიგნობრებათ“ დარჩებიან, დოდაშვილის გამოკლებით, რომელმაც საქართველოსთვის, ტაიგაში, მიიღო ინკვიზიცია ცეცხლზე.

და აი, ბედმა არგუნა ილია ჭავჭავაძეს, თავისი განიერი მხარბეჭით, კოლოსივით ჩამდგარიყო ქართულ სინამდვილეში და გამხდარიყო მორგვი ქართული მწერლობის და საქართველოს ცხოვრების. ამ რიგად ილია ჭავჭავაძე არის ქართველი მწერალი პროფესიონალი სრული ევროპიული გაგებით.

ილიას, თავის წინაპარ მწერლებთან სულ არ უსწავლია მის ადრეულ ლექსებში არის გავლენა ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის, მაგრამ თავისებურება თავიდავე ეტყობა.

მიუხედავათ ილიას დიდი ქართული სახელისა, თანამედროვე პოეზია ვერ მიიღებს ილიას ლექსებს, სადაც პოეტი ყოველ წუთას უხერხულია, ყოველ სტრიქონზე წამოიჩოქებს და გლისთ მისი მომაბეზრებელი ნაჯახი, რომელიც ტლანქად ჩორკნის მძიმე ლექსებს. მაგრამ ილიას პოეზიას, მაინც აქვს კულტურა ბაირონის, გიოტესი, პუშკინის, როცა აკაკი წერეთელი მოკლებულია ლიტერატურასაც კი. თითქოს ის ყოფილიყო თანამედროვე ბარდი ანუ გოგია მეჩანგურე. ილიას მძიმე ლექსებიდან დარჩება „ის მშვენიერი იდეები“ მესამოცე წლების ახალგაზდობის არაგვის კულტი და ბიბლიური წვა საქართველოთი. ეს არის მისი გამთავნებელი.

მაგრამ თუ ჩვენთვის უხერხულია ილიას ბრუნდე ლექსები, სამაგიეროდ პროზაში ილიას გააქვს XIX საუკუნის საქართველო. ილიამ შექნა ორიგინალი სტილი მას აქვს სიტყვის საოცარი ლაბორატორია და მგრძნობელობა.

ილიას უპირველესად უყვარდა „სიტყვის გამოშიგვნა“ (მისი საყვარელი სიტყვაა) სიტყვის ფიზიკურათ შეხება, მისი ჩანგალზე დაკიდება და ნაწლავების გამოჭრა დანით.

გარდა გრიგოლ რობაქიძის, რომლის ხელშია დღეს სადავე ქართული მწერლობისა, არც ერთი ქართველი მწერალი არ გახურებულა სიტყვის სქესობრივი მოწყურებით და დღესაც ქართული პროზა ილიას ქორივით ჰყავს ჩაჭედილი კლანჭებში. სამწუხაროდ ილიაში გენიის და ტრადიციას რო მეტოდი დაემარცხებინა, მის სახელს გუსტავ ფლობერთან ვახსენებდით. მაგრამ აქ მეტოდმა დასცა გენია. ეს არის ჭავჭავაძის ტრაგედია.

ილიას მპყრობელობა მარტო ერთ შკოლაზე არ გაგრძელებულა. თითონ ვაჟაფშაველაც თავის ბარის დიალექტიკით დაწერილ ლექსებსა და სამოქალაქო პოეზიაში, არის პირდაპირი მოწაფე ილია ჭავჭავაძის, რომელმაც ეს ველური ჰენია აღმოაჩინა შეიდეგ ბევრი მწერალი, პატარა ჩიტებივით დაეწაფნენ ამ უზარმაზარ მდინარეს არც ერთი ტონი, არც ერთი ხმა, არც ერთი ტემა არ არის ქართულ ლიტერატურაში, (მე არ ვლაპარაკობ მარცხენა ფრონტზე) რომ არ მოდიოდეს ილიადან

თითქოს ყოველი ფესვი გამობმულია მის გოლიათურ ფეხზე და თითეული ხმა ამოდის მისი დადუმებული მაგრამ მრეკავი პირიდან.

დანამდვილებით ვიტყვით, რომ „ოთარაანთ ქვრივმა“ შექმნა ქართული რომანი ფონით, სიუჟეტით და პერსონაჟით რასაკვირველია ეს ყვლაფერი ხშირად გადმობრუნებით არის ნახმარი. „კაცია-ადამიანმა“ დაიბევა ქართველი თავადის ტიპი; კაკო ყაჩაღმა შექმნა მეორე რანგის ბელეტრისტიკა. „განდეგილმა“ მთელი ჩვენი მწერლობის მისტიკა და ქალის საკითხი. ილიამ შექმნა დემოკრატიული ლირიკა; („პარიზის კომუნა“ 1900—17 წ.) ლირიკა პატრიოტული („აჩრდილი“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“ (907—დღემდე)

ვანო მაჩაბელთან ერთად მან პირველმა მიუყენა ქართულ დრამას თოთხმეტ მარცვალოვანი თეთრი ლექსი; (შექსპირის თარგმანი) მისმა პუბლიცისტიკამ დაზარდა ქართველი ჟურნალისტები და პუბლიცისტები გამოუკლებლივ მისმა დარბაისელმა პოლემიკამ ჩააჩუმა სომხისა და რუსის შოვინისტები, რომმელნიც ქართულ დროშებს ცირკებში გზავნიდენ. (კატკოვის ისტორია) და ბოლოს ილიას სიკვდილმა ჩვენში ეროვნული შეგნების გაღვიძება დააჩქარა.

ილია ჭავჭავაძე იყო მუზარადი, რომელიც ნახევარი საუკუნე ეხურა თავზე საქართველოს მისი სახელი გვაზანზარებს, როგორც თანაბარი სახელი—საააძე. ერთად ხვდებიან წიწამური და მარაბდა. მან ადიდა ბაზალეთის მესია, რომელსაც მოაქვს თამარის ოქრო, რუსთაველის სიტყვა და ხმალი მოურავის არაგვისა და ალაზნის ბასეინებს ამწვანების იმედი მისცა და ქართული სუფრის აბრაამი იყო.

ილია ჭავჭავაძემ ამოავსო XIX საუკუნის ცარიელი საქართველო და თავისი გახეთქილი შუბლით აზრი მისცა ქართულ მწერლობას და საქართველოს სვინდისს...

**გიორგი ლეონიძე.**

## ქართული პროზის სათავე

თუ სანდრო ცირეკიძემ „ველური“ უწოდა საერთოთ პროზას, ყველაზე უფრო ველური პროზა საქართველოშია. სიტყვა „ველურს“ ფრჩხილების გახსნა ეჭირვება. „ლექსს აქვს უძველესი კულტურა, პროზა ახალია. ამის წარსული ორიოდე საუკუნეა. მისი გზები ჯერ გაუთელავია.

მცირეა პროზის რაინდები წარსულში; აპულეი, ბოკაჩიო, სერვანტესი, ბარბე დიორევილი, გოგოლი, გონკურები, ტოლსტოი, ფლობერი, ბალზაკი, ვილიე დე ლილ-ადანი, დოსტოევსკი. პირველი სამის გარდა, ან ჩვენ დროში ცხოვრობდენ, ან 100 წლით დაგვშორდენ.

ქართული პროზა კიდე უფრო ახალგაზრდაა. ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, არისტო ჭუმბაძე, სანდრო ცირეკიძე სწერდენ და სწერენ ჩვენთან. ქართული პროზა იმდენათ ღონიერია და ჯანმრთელი, რომმის შემოდგომაზე ლაპარაკი აზრათაც არავის არ მოსვლია. ეს ასეც უნდა იყოს. მისი კუნთების ღონე ხელოვნური ვარჯიშობისაგან კი არაა, არამედ ქვისა და ბრინჯაოს დროის ვაჟკაცების ბუნებაა. ამ მხრით ყველაზე უფრო ღონიერია ილია ჭავჭავაძე. მისი პროზა პირველყოფილ ბუნების კლავის სიმაგრეა, ფესვებ მაგარი ტყე, რომელშიც არ შესულა პანამიანი კაცი ალეების გასაყვანათ და მცენარეების შესაპარსავათ.

ამ გზით მიდიოდა ქართული პროზა თითქმის მეოთხედი საუკუნე. ამ დროს განმავლობაში იყო ეტაპები ქართულ პროზაში, მაგრამ ის სახელები მხოლოდ დროებითი გამოდგა, შემთხვევითი მგზავრები ქართულ ლიტერატურაში „საქმროები საათით“ მაგრამ ეს იყო უკვე ჰაერის შეცვლა და მოსალოდნელი გახდა ახალი სახელების მოლოდინი.

გრიგოლ რობაქიძის „მაია“ არის ქართულ პროზის ახალ გზაზე დადგომა ამ ხრით ის იყო თითქმის მანიფესტი და ამის შემდეგ იწყება ქართული პროზის კულტურა. იწყება ქართული სიტყვით მოხიბლვა; მისი დაწმენდა და მითი წვალება. უკანასკნელი ახასიათებს სანდრო ცირეკიძეს.

ქართულ ლიტერატურაში პროზა უფრო ბედნიერია პოეზიაზე. თუმცა პოეზიას ყავს რუსთაველი და სხვა კეთილშობილი სახელები, სამაგიეროთ პროზას არ ყავს ამდენი „პრიხლებატელი,“ რამდენიც პოეზიას. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ პროზა ჩვენში უფრო ახალია. საქართველოში მისი ისტორია იწყება ილიათი. ეს დასაწყისი ბედნიერია ქართული პროზისთვის. მისი სათავე ამ გოლიათი მწვერვალიდან იწყება და ამიტომ არასოდეს არ უნდა ექნეს დაშრობის შიში. ილიას პროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეურყევი კლდეა, დაუტეხელი, მიწით და ქვებით მსუქანი. მარტოოდენ ცოდნა ენის საკმაო არაა. საჭიროა მასთან შეზრდა და მისი ბუნების გაგება. ილია ბედნიერია რომ ჰქონდა ეს ანდამანტი. მის პროზაში ხშირათ ქართული სიტყვის ჯვარისწერები და ქორწილია. ერთი რამ არის დამახასიათებელი: პროზაში ილიამ არ იცის მეტაფორა და ეპიტეტი. ეს ორივე შესაძლოა მწერლის პორტრეტი იყოს. მაგრამ მეტაფორა და ეპიტეტი უფრო ხშირია ლექსში. პროზა ყოველთვის მეტ პატივს სცემს საგანს, უკანასკნელი მისთვის უშუალოთ არსებობს, სხვა რაიმესთან შეუდარებლათ, და ამიტომ პირდაპირ სახელს აძლევს მას.

ქართულ ლიტერატურას დღემდე არა აქვს რეზონანსი, ესტეტიურ ევროპისთვის ის უცნობია. ასე რომ არ იყოს, ილიას მარტო ადგილობრივი სახელი არ ექნებოდა. პროსპერ მერიმეს "კარმენი" ხიბლავს ევროპიელს კოლორიტით, გმირების სიცოცხლის სისავსით და სიყვარულით. ამ მხრით ილიას „გლახის ნაამბობი“ თუ არ გაუსწრებს, ყოველ შემთხვევაში თანატოლი ძმაა „კარმენის.“ აქ შეიძლებოდა ანალოგიები, მაგრამ ამ კონსპექტიურ წერილისთვის ეს გრძელი იქნება.

**სერგეი კლდიაშვილი**

თანი, ნაფიქრთ წრეები უნაკლოდ ჯდომილნი მთელ მსჯელობაში, მჭიდროდ ნაკავშირებნი, ფიქრთა ჯინჯილი მკვიდრად ნაკვერი.

ძნელი იყო ილიასთან კამათი. ის უფრო ართულებდა მასთან ჰაზრთა ჭიდილს, რომ მარჯვედ იჭერდა მეტოქისაგან ნატყორც საბუთს, თავისებურად არკალებდა მას და შეუბრუნებდა მასვე, მისივე ფანდით აჯანჯღარებდა მოპირდაპირეს, მისივ იარაღით არყევაქანებდა, მუხლზედ დასცემდა. მაგონდებოდა ხალხური თქმა:

მიდის გმირი უიარაღოდ;
— გამარჯვება. ალსართან.
— გაგიმარჯოს!
— სად მიხვალ?
— საომრად.
— იარაღი?!
— მტერი მოიტანს!

### ესეთი ამბავი:

დაიბეჭდა „ივერიაში„ წერილი შიიტებზედ და სუნიტებზედ. აზრი იყო გამოტანილი: სპარსნი და ოსმალნი ერთმანეთს დაჰშორებიან, რადგან აღიარებენ მაჰმადიანობის სხვა და სხვა მოძღვრებას, ერთნი შიიტნი არიან, მეორენი სუნიტნი; ამ რელიგიურ მცირე განსხვავებიდან დაბადებულია მათი დიდი ძულება, მოძღვრების ეს სხვა და სხვაობა არის მათშორის ზიზღის მიზეზი. თუ ჰსურთ სპარსთა და ოსმალთა შეერთება, უნდა მოსპონ მაჰმადიანობის ესეთი ორად დარღვევა. ამ წერილის საწინააღმდეგოდ მიტანილი იქმნა რედაქციაში სხვა წერილი. იგი ამბობდა: შიიტების და სუნიტების სხიზმა წარმოსდგება სპარსთა და ოსმალთა ნაციონალურ სხვაობიდან ხალხოსნური იგი სხვაობა აწარმოებს ერთისა და იმავე სჯულის სხვა და სხვა ფეროზს; შიიტობაში სპარსეთმა საკუთარი ნაციონალური იერი მისცა მაჰმადიანობას, სუნიტობაში ოსმალთ საკუთარი ნაციონალური ფერი დასდეს იმავე მაჰმადიანობას. მაშ შეუძლებელია გაერთდეს შიიტთა და სუნიტთა სხიზმა და ამით მოიმკოს სპარსთა და ოსმალთა ერთობა, ამისთანა ცდას ექნება ასეთივე უშედეგო შედეგი, როგორიც ჰქონდა ლათინთა და ელინთა ალსარებების უნიას 1274 წ. 1439 წ. და შემდეგ.

ეს დებულება ილიამ არ მიიღო, შეეკამათა წერილის მომტანს და კამათი ისე ხერხიანათ აწარმოვა, რომ სწორედ საგულისხმო იყო. მოწინააღმდეგემ უფრო ზედმიწევნით იცოდა კამათის საგანი, ძლიერი საბუთები მოჰქონდა ისტორიიდან თუ სჯულთა მცნებიდან, მაგრამ გაუძნელდა სიტყვა აღარცა ჰსუროდა ფონს გასულიყო: უკვე მოხიბლა იგი ილიას ჰაზრთა მწყობრმა დენამა.

ოღონდაც რომ დიდი ლოღიკოსი იყო ილია! ეს მისი ნიჭი გამოსჭვივის ყველა მის ნაწერებში, ხოლოდ საჯაროდ გარდიშალა მის ბრძოლაში თავის ღირსეულ მოწაფესთან. მაგრამ...... ბრძოლა ილიასი და ივანე მაჩაბლის შორის სხვამ გაშალოს, უფრო ახლო მცნობმა.

**ვასილ ბარნოვი.**

# მასალები და დოკუმენტები

## როგორ დაწერა ილიამ „ოთარაანთ ქვრივი“

„ოთარაანთ ქვრივი“ იყო უკანასკნელი ნაწარმოები ილიასი. ვგონებ ეს იყო 1886 წ. შემოდგომაზე, როდესაც ის ჯერკიდევ ცხოვრობდა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე ზუბალაშვილის სახლებში. ერთ ჟინჟღლიან დღე, როცა ილიას შევასწარი მჯდომარეს თავის კაბინეთში და როცა ჩემთან მორჩა საუბარს ახალ გერმანულ წიგნების შესახებ, მან უცბად მითხრა: „მე მაქვს საინტერესო იდეა მოთხრობისათვის, მან უნდა მოგვცეს ქართული გლეხის და უკანასკნელი დროის ქართველ მემამულეთა ფსიხოლოგია.“ შემდეგ ილია თითქმის დაწვრილებით მომიყვა ახალი მოთხრობის ფაბულას მაგრამ დასძინა, რომ უფრო უკეთესად მოიფიქრებდა.

მისი აზრი ძალიან მომეწონა, იგი თითქოს იყო გაგრძელება მისი აზრის „კაცია ადამიანში“ და „გლახის ნაამბობში“ რომ გამოსთქვა. „ამ მოთხრობით თქვენ დაამტკიცებდით, რომ თქვენი იდეები ქართველი ერის ზნეობრივ სიმაღლის მეტად მწყობრად მდინარებს მეთქი.“

„ჰო, პირველ მოთხრობებში მე ვიბრძოდი გლეხების ნივთიერ თავისუფლებისათვის. ამ მოთხრობაში კი მე მინდა გავლენა მოვახდინო მათს ზნეობრივ თავისუფლებაზე, დასძინა ილიამ და ვრცლათ შეეხო მაშინდელ ქართველ გლეხის ყოფა ცხოვრებას, მის ზნეობის სისუფთავეს და პატიოსნებას.

რასაც უფრო ბევრს ლაპარაკობდა ილია მით უფრო თბილი ხდებოდა მისი სიტყვები. და არა ერთგზის ჩემთან ლაპარაკში მრავალგზის დაუყენებია მაღლა ქართველი გლეხის ზნეობა ეგრედ წოდებულ განათლებულ ერებზე.

ამ საუბარის მერე ილია რამდენიმე დღე აღარას ლაპარაკობდა თავის მოთხრობაზე, მაგრამ ერთხელ შაბათს დღეს როცა მე შეველ ილიასას, მისმა მეუღლემ ოლგამ გადმომცა, რომ ილიამ დაიწყო რაღასიც წერა და მთხოვა ჩემთან ნურავის ნუ შემოუშვებო. მე უკვე წასვლა დავაპირე, რო ილიას ჩემი ხმა გაეგო კაბინეთის კარები გააღო და დამიძახა.

„გუშინ საღამოს მე დავიწყე ჩემი მოთხრობის წერა“ მითხრა მან და მაჩვენა რამდენიმე ფურცელი წვრილ ხელით ნაწერი. „სულ მზადა მაქვს თავში და ეხლა შეუწყვეტელად შეუდგები წერას“. ასეც მოხდა ხუთ დღესა და ღამის გამავლობაში ილიამ დაასრულა „ოთარაანთ ქვრივი“, რის შემდეგაც მხოლოდ მეთაურებს ლა სწერდა „ივერიისთვის“.

ის მაშინ 50 წლისა იყი სავსე ფიზიკურ, და გონებრივი ძალებით როგორც ილია თითონ ხშირად იტყოდა, ევროპიელი მწერლები და განსაკუთრებით მეცნიერები ამ ასაკში იჩენენ ხოლმე დიდს გონებრივს ნაყოფიერებას მაშინ, როცა ქართველი მწერლები ძალიან მალე ჩუმდებიან.

სად არის მიზეზი?

ამაზე ილიასთან ძალიან ხშირად გვილაპარაკნია. შესაძლებელია, რომ ხასიათს, ცხოვრება ტემპერამენტი ჰავა და სხ, გავლენას ახდენენ გონებრივ ძალის დაცვასა თუ დახარჯვაზე.

მაგრამ ილია სამართლიანად შენიშნავდა, რომ "აქ არის კიდეც სხვა მიზეზი ადამიანის ყველა მოქმედებაში უნდა იყოს რაიმე რიტმი ე. ი. რიტმიული ზომა თუ რიგი. კაცმა თავის ჯანის შესანახავად უნდა იმუშაოს ამა თუ იმ ტემპით, არც სწრაფად, ვნებით და არც ზანტად თუ ნელა. არ შეიძლება იმუშაო გიჟივით და მერე მთლად განელდე შრომაში უნდა იყოს გარმონია: „თავი დაუჭირე გატაცებებს და ყოველ დღე იმუშავოს რამდენიმე საათით და საჭირო შესვენებით. და არა დღე და ღამე მიყოლიებით, რო მერე დაზანტებულმა უბრალოდ იხეტიალო მთელი დღეებითა თუ კვირეებით!

ამ გარმონიასთან შეთავსება ილიამ ვერ მოახერხა ბავშობიდანავე, თუმცა კი იცოდა, რომ მხოლოდ ამ ჰარმონიას შეუძლიან შეეუნახოს მისი გონების შემოქმედება დიდს სიბერემდე.

**არტურ ლეისტი.**

## პირველი დიდი ქართული გაზეთი

1885 წელს ერთი მაშინდელი ქართული გაზეთი „დროება“ გამოდიოდა ვანო მაჩაბლის რედაქტორობით პატარა ფორმატი და ჰყავდა 500 თუ 600 ხელის მომწერი.თ შემოდგომაზე ამავე წელს ეს გაზეთი დაიხურა გუბერნატორის განკარგულებით და ქართველი საზოგადოება დარჩა უგაზეთოდ.

ამ დროს არსებობდა მხოლოდ თვიური ჟურნალი „ივერია“ რომელსაც სცემდა ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ეს ჟურნალი გამოდიოდა არა რეგულიარულად და პატარა რვეულებად. „დროების“ დაკეტვამ ააღელვა ყველა მაშინდელი ლიტერატორი. ილიამ იქონია ბჭობა ამ მწერლებთან და დათანხმდა „ივერია“ გამოსულიყო ყოველდღიურ გაზეთად მისი რედაქტორობით. იმავე დროს გადაწყდა რომ თანამშრომლებათ გარდა ლიტერატორებისა მოწვეული ყოფილიყვენ გარეშე პირებიც, რომელთაც შეეძლოთ წერა.

მალე რედაქცია შედგენილი იყო, მაგრამ ხელის უფლება მაინცა და მაინც არა ჩქარობდა ნებართვას.

ნებართვა მხოლოდ დეკემბერში იქნა მიღებული.

პირველ თანამშრომლებათ ახალ გაზეთში იყვენ: ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, პიესა „სამშობლოს“ ავტორი, რაფიელ ერისთავი, გიგო ყიფშიძე, ხონელი (ბახტაძე) ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ვანო მაჩაბელი და ყველა მაშინდელი პოეტები ილია და მისი თანამშრომლები სცდილობდენ, რომ „ივერია“ ყოფილიყო ისეთი გაზეთი, რომელსაც შინაარსით. და სხვანაირობით დაეკმაყოფილებინა მკითხველები, ამიტომ ყურადღება ჰქონდა მიქცეული ევროპის ამბებს, პირდაპირ საზღვარ გარეთის გაზეთებიდან. ნებართვის მიღების შემდეგ გადაწყდა გაზეთი „ივერიის“ პირველი ნომერი გამოსულიყო 1 იანვარს 1886 წელს.

ახალწლის ღამეს ახალი გაზეთის შესახვედრათ ილიასთან შეიკრიბა 40 ამდე კაცი, რომელთაგანაც მე მახსოვს: ვანო მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, გიგო ყიფშიძე, ნ. ცხვედაძე, ნიკო ლოლობერიძე, ასათიანი (მაშინდელი ქალაქის მოურავი ქუთაისში) უმიკაშვილი და სხვ.

სწორეთ ღამის 12 საათზე სტამბიდან მოიტანეს რამდენიმე ეკზემპლიარი დიდი ფორმატის ახლ გაზეთისა. პირველად დალეულ იქნა ღვინის ჭიქები, შემდეგ მრავალ-ჟამიერ და შემდეგ კი რომელიღაც წევრი რედაქციის ხმა მაღლა კითხულობდა სტატიებს და ლექსებს.

**არტურ ლეისტი**

## მ ო გ ო ნ ე ბ ა

აღტაცებული იყო მოსწავლე თაობა ილიათი. ავყვებოდით სეირნობად გამოსულს, შორიახლო მივსდევდით ჩვენს სიამაყეს. თუ ერთად ვნახავდით ილიას და აკაკს, ჩვენს სიხარულს ნაპირი აღარ უჩანდა. ჩვენთვის ილია იგივე საქართველო იყო, ეშხით მებრძოლი სამშობლო მურაზით სავსე.

რუსეთიდან რომ ჩამოველ, მცირე ხნობით მის რედაქციაში მოვყევ: ვთარგმნიდი ფრანგულით, ხელს ვახმარებდი წვრიმანში რედაქციის მუდმივ მუშაკთ: პირისპირ ვნახავდი ილიას, ვიუბნებდი მასთან. რა კმაყოფილებით მავსებდა იგი სიახლე.

ვათვალიერებდი. მეტადრე ღრმად მოქმედობდა ჩემზედ მისი მსჯელობა. ჰაზრთა წყობა მათემატიკურად თანის-

## შეხვედრები ილია ჭავჭავაძესთან

(მოგონება)

ერთი შეხვედრა

აფხაზეთის დედა-ქალაქ სოხუმში ვართ. 1903 წელი. დაგნატრის მოშორებული ქართველობა ამ ქალაქისა უსაზღვროდ იჩაგრება რუსის აღვირახსნილ რეჟიმისაგან. ადმინისტრაციაში დიდი ადგილები სულ რუსებს უჭირავსთ. რუსია სასულიერო უწყების უფროსიც (ეპისკოპოსი). სასწავლებლებში უფროსებად, მასწავლებლებად, რუსები არიან. ქალაქის თაობაც კი ისეთს ქალაქში სადაც 80% ქართველობაა, რუსსა აქვს ჩაბარებული რუსული სული, რუსული ძალმომრეობა, რუსული ენა გამეფებულია ყველგან: სკოლასა, ეკკლესიასა, საზოგადო თუ კერძო ცხოვრებაში. ინტელიგენციას მოკლებული ქართველობა სრულს უპატრონობასა გრძნობს. აქაურს ქართველს სახელად „ტუზემეც“-ს უწოდებენ. და ამ სახელის მატარებლის დამცირება, აბუჩად აგდება, ფეხით გაქელვა რუსისათვის სასახელოდ ითვლება.

ასეთს ატმოსფერაში მყოფი ქართველობა ცას ეწეოდა ხოლმე სიხარულით, როცა ვინმე მოწინავე ქართველი შემთხვევით გზად გამოივლიდა სოხუმში. თავი მოჰქონდათ: აი რა კაცები ჰყავს ჩვენს სამშობლოსა!... გულს იმედი ესახებოდათ.

მთელი ეპოქა იყო აქაურების ცხოვრებაში, როცა აქ განსვენებული პროფ. ხახანაშვილი გამოივლიდა თავის ნათესავების სანახავად; ერთხელ ქართველი სტუდენტები მოიყვანა აქ პროფესორმა ვ. პეტრიაშვილმა. ერთხელაც იყო ნ. ნიკოლაძე. იყო განსვენებული ალ. სარაჯიშვილიც, როცა ის ქალაქის თავად აირჩიეს, მაგრამ საგუბერნიო ადმინისტრაციამ არ დაამტკიცა, — ქართველი არი. აკაკი ისე გადაიცვალა, სოხუმი არ უნახავს. განსვენებულმა ილია ჭავჭავაძემ კი მხოლოდ 1903 წელს ინახულა სოხუმის ქართველობა.

ქართველმა თავად-აზნაურობამ დეპუტაცია გამოუგზავნა გაგრაში პრინც პეტრე ოლდენბურგელს რაღაც საქმისათვის მადლობის გამოსაცხადებლად. დეპუტაციის წევრებად იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, მარშლები აწგანსვენებული ალექსანდრე ორბელიანი და დიმიტრი ჩოლოყაშვილი. დეპუტაციამ გაგრაში მისიის ასრულების შემდეგ სოხუმში გამოგვიარა.

აქაურ ქართველების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ჩვენის ქვეყნის წინამძღვარი, იმედი დიდი ილია სოხუმელებს შორის იყო. სტუმრები სასტუმრო „როსიაში ჩამოხტნენ. იმ დღესვე ინახულეს სოხუმის მოწინავე ქართველობა. ყველანი ცდილობდნენ თავის თვალით ენახათ ქართველების იდეის განმასახიერებელი მატარებელი, ნახევარ საუკუნის განმავლობაში საქართველოს ჭირ-ვარამის მზიდველი ადამიანი. ხელად შესდგა კომიტეტი დიდებულ სტუმრისა და მის თანამგზავრების პატივსაცემლად. გადაწყვეტილიყო სადილი გაემართნათ ძმათა შარვაშიძეთა ეზოში, ასწლოვან მუხა-ცაცხვებს ქვეშ. ამ სადილს დაესწრო ორასამდე სოხუმელი ქალი და კაცი.

როდესაც ილ. ჭავჭავაძე შუაში ჩაგვიჯდა ყველანი გავცოცხლდით. ყველას იმედით აგვევსო გული, მოგვემატა ხიმხნევე, სიამაყე. „სანამ ასეთი კაცი გვეყოლება მეოხად და პატრონად, მტერი ვერას დაგვაკლებსო, ვამბობდით გულიგულში.

როცა ილია ვადღეგრძელეთ, სოხუ-

# ქართული პროზისათვის

პროექტი

საქართველოში ლექსის კულტურა უფროა გამახვილებული ვიდრე კულტურა პროზის. ბესიკი საოცარი მაგალითია: ლექსში ძლიერი და პროზაში უმწეო.

მისი ლექსი: „შენის ბაგისა ორნი მეცნეს; ტკბილი და მწარე; ორკეცად შენი სიყვარული თავს დამაფარე“.

მისი პროზა: „მათ ვარსკვლავთა ფიცხელისა სახითა ქცევისა გულსა შური შემადგების მის დღისათვის, ვითა, მათებრივ რეცა უსხეულოდ მფრინვალედ მორბედი, კაცია დადიანი მიმოქროლვითა თვალსა მიტაცებს გონებისასა“.

ხშირია: პოეტი პროზაში სუსტი. მაგრამ ეს სისუსტე რომ ასეთს უმწეობამდე დადიოდეს, პირდაპირ უმაგალითოა. სისუსტე აქ ნამდვილი ენაბრგვილობაა.

ალბად ეს საოცარი მოვლენა პროზისა და პოეზიის დაცილების ხაზებში უნდა იხსნებოდეს.

რემი დე გურმონ სწერს:

„ლექსის რიტმი არ არის დამოკიდებული გრამატიკული ფრაზისაგან; იგი სდებს თავის ძლიერ ხანებს ხმებზე და არა აზრებზე. პროზის რიტმი დამოკიდებულია გრამატიკალი ფრაზისაგან: იგი სდებს თავის ძლიერ ხანებს აზრებზე და არა ხმებზე. და რადგან ხმა და აზრი მეტად იშვიათად ხვდებიან ერთიმეორეს, პროზა სხვერპლავს ხმას და ლექსი სხვერპლავს აზრს“ („Le deuxième livre des masques“,-გვ. 22).

ეს განმარტები მისაღებია. მხოლოდ ზოგიერთი დათუებით. ლექსი არის მეტრით გამართული სიტყვა. მაგრამ ხელოვნურს პროზაშიაც გვხვდება მეტრი. თუმცა არგანზომილი წინასწარ. ასეთი მეტრი ფადდეჲ ზელინსკიმ პლატონის დიალოგებში ამოაჩინა. ამ მხრით პროზა და პოეზია უახლოვდებიან ერთიმეორეს. თვითონ „პოეტურობისათვის“ თუ „პროზაულობისათვის“ არსებითად სხვა ნიშანია საჭირო: მეტრი აქ მხოლოდ გარეფორმაა. მათი გამიჯვნისათვის აუცილებელია შინაფორმა. პოეტური სიტყვა არის უცნაური ხილვა საგანის თუ მოვლენის. პროზაული თქმა ჩვეული ხედვაა იმავე საგანის თუ მოვლენის. ამ მხრით: შესაძლოა სიტყვას პოეტური გარეფორმა ჰქონდეს, ხოლო შინაფორმით კი იგი პირწავარდნილი პროზა იყოს,—და პირიქით: შესაძლოა სიტყვა გარეფორმით პროზა იყოს, ხოლო შინაფორმძ კი მას ნამდვილი პოეტური ჰქონდეს. პირველის მაგალითი ცოტაა, მაგრამ გულისხმიერი. ნადსონი პროზაიკოსია, თუმცა ლექსით სწერდა. დოსტოევსკი პოეტია, თუმცა პროზით სწერდა.

ერთი რამ მაინც უნდა ითქვას. თუ პოეზია უცნაური „ხილვაა“, იგი თანვე შინაგანი „ამღერებაა“. ეს ამღერება თხოულობს წინასწარ განზომილ მეტრს. ამისათვისაა, რომ პოეზია ფორმით უფრო ლექსს მიმართავს ვიდრე პროზას. აქ არის დაფარული ანიშნული არევ-დარევა.

მეტრით გამართული სიტყვა თავისთავადია. იგი თითქო სცილდება მქნელს და თავისითა აგძელებს სიცოცხლეს. აქედან ადვილი ამოსაცნობია, რომ ლექსიურ თქმაში უფრო მეტი ტრადიციული ტეხილი არის ვიდრე პროზაულ სიტყვაში.

შესაძლოა ამით იხსნებოდეს ბესიკის უცნაური ფენომენი: ლექსის ტრადიცია მასში უფრო ძლიერია ვიდრე პროზის აქედან: ლექსში ძლიერი და პროზაში უმწეო. ეს მხოლოდ ჰიპოტეზია.

* * *

საქართველომ იცის პროზის კულტურაც. ჩემთვის ნამდვილი „წყაროს თვალია“ პირველი ძეგლი ქართული „წერილი“ სიტყვის: „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისა“. ავტორი: იაკობ ხუცესი (მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში ქ. შ.). აქ არის მოცემული ქართული სიტყვა თავიდან ბოლომდე რასსიული დაწმენდით.

„მაშინღა იწყო სიტყუად და თქუა: რაჲსა ხელ იწიფა ჩემზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ. აწ მივედით და არქუთ ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გადაასხ და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსულ ხარ“.

„ხელს იწიფა“ და ნაცარი გადაასხ“: მთელს პოემას გაეტოლებიან.

„და ვითარ შემიყვანა მცველმან მან და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად ვითარცა სძალი შემკული საკრველთა მათგან“.

აქ სიტყვა სიტყვას გამძაფრებული რიტმიულობით ეჯრება.

„ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწეული იგი მხურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი; რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლით განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწრეტილნი და დამშრალნი და დამლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი“.

გამოთქმის ფორმა ძალოვანი. ხოლო აქ არის მარჯვე არქიტექტონიკული ხაზიც: ჯერ ორი სიტყვა: „განსივებულნი და განყვითლებულნი“. შემდეგ სამი: „დაწრეტილნი და დამშრალნი და დამლიერებულნი“. ბოლოს სიტყვის შემატებით ფრაზა უფრო გაძლიერებული: „ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებოლნი“. აქ უკვე ხელოვანი სჩანს.

ხოლო ეს ფრაზა პირისპირ შედევრია:

„მიაგოს მას უფალმან ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა“.

ეს ფრაზა დარჩება ქართული სიტყვის ნამდვილ ფრესკოდ. აქ არის პირველ მიწის პირველი ყვავილის სურნელი. პრიმიტივი ღვთიურობის სუნთქვით.

ჭეშმარიტდა მომაჯადოვებელია ქართული სიტყვის პირველი ძეგლი, სწორედ ისე, როგორაც მომაჯადოვებელია მასში აწერილი შუშანიკ, რომელსაც წმინდა ნინოს ჯვარი ესვენა წინ გადმოცემით.

ქართული პროზა შემდეგ (მეათე საუკუნის მეორე ნახევარში) აღწევს მონუმენტალურ ფორმებს. „ცხოვრებაჲ წმიდისა გრიგოლ ხანძთელისა“ (ავტორი: გიორგი მერჩული) თაურია ქართული სიტყვის გენიის. ეს ქმნილება ჯერ დაუფასებელია. იგი ითხოვს საკუთარს მონაგრაფიას. დარწმუნებული ვარ: ისეთნი ამოჩენანი ამოვარდებიან მასში, რომ ქართული კულტურის პრობლემა ძირეულად შეირყევა.

სიტყვა სადა და შემცველი. თქმა სუფთა და დამტევნელი. ხაზი თითქმის მარემატიური. ფრაზა მოქნეული და მოზომილი. პერიოდი მარჯვედ მოზმული. სახეობა ზომიერი. კოლორი სურნელით. თავიდათავი—„ალნაგობა,“ როგორც ქართულ არქიტექტურაში. „სამკაული“ მხოლოდ როგორც დეტალი. რასსიული დახვეწილობადასიწმინდე ფორმების. შიგადაშიგ არიული სინათლე და მზერა. ბოლოს და ბოლოს მომაჯადოვებელი.

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო.“

აი სიტყვის: ეკონომია, სისწორე, ლაპიდარობა.

აი ქართული სტილის ხერხემალი..
გიორგი მერჩულზე იტყვიან ბევრს.

***

მონღოლების შემოსევამ გასტეხა ქართველთა ხერხემალი. გამწირდა პსი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა მხრით სიტყვით მიმართა თეიმურაზ გაბუნიამ: აუწერა სოხუმელთა გაჭირვება და სთხოვა—თქვენისთანა ქართველებმა ხშირად დაგვხედეთ ამ მივარდნილს კუთხეშიო. ბოლოს ზეზე წამოდგა ილია... მთელი საზოგადოება სმენად იქცა. სიტყვა დაიწყო ილიამ რომაელთა ანდაზით: Ex orientis lux (სინათლე აღმოსავლეთიდან მოდისო). ძველად, მართალია, ასე ამბობდნენ და ასეც იყო. განათლება აღმოსავლეთ ქვეყნებში ჩაისახა და იქიდან ეფინებოდა დედამიწასაო. მაგრამ ახლა განათლება დასავლეთ ქვეყნებიდან ეფინება აღმოსავლეთსაო. კერძოდ ჩვენს სამშობლოზე უნდა ითქვას ესაო. თუ აქამდე აღმოსავლეთი საქართველო უდგა ქართველთა ცხოვრებას სათავეში, ეხლა ეს როლი დასავლეთმა საქართველომ იდვა თავთ. იმ ხალხს აქვს მომავალი, ვინც ეკონომიურად ძლიერია. მოხარული ვარ, რომ პატრონად ასეთს კოპწია ქალაქს, როგორც სოხუმია, თქვენ გახდომიხართ. ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ და აგაღორძინოსთ. დარწმუნებულნი იყავით, სანამ ქონება თქვენს ხელთ იქნება, მტერი სულმუდამ ანგარიშს გიწევდესთ იქნება, მომავალიც თქვენი იქნება. მე ბედნიერი ვარ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სიბეჩავის შემდეგ გხედავთ სავაჭრო ასპარეზზე გამოსულებს ჩვენს დასავლელს ძმებს და ასეთნაირადაც გამოსულებს, რომ ყოველგვარი მოქიშპე იძულებულია გზა დაგიცალისთო."

აი მოკლე შინაარსი ილიას გრძელის სიტყვისა, რომელმაც მსმენელნი აღტაცებაში მოიყვანა.

ნასადილევს ილ. ჭავჭავაძე შუაში ჩაისვა საზოგადოებამ და იმ დღის სახსოვრად სურათი გადაიღეს.

### მეორე შეხვედრა.

იმავე 1903 წლის ზაფხულია. ილია საზაფხულოთ წამოსულია დასასვენებლათ თავისს საყვარელ სოფელ საგურამოში.

პარიზში ის იყო გამოვიდა საქართველოს სოც.-ფედერალისტთა პარტიის ორგანო „საქართველო", უაღრესად მატარებელი და გქადაგებული საქართველოს ავტონომიის იდეისა პარტიისთვის საჭირო იყო გაეგო ილიას აზრი საქართველოს ავტონომიის შესახებ. ტფილისის კომიტეტის ერთს კრებაზე გადაწყდა მოციქულებად გავეგზავნეთ ილიასთან საგურამოში: აწგანსვენებული პეტრე ყიფიანი, ვალ. გუნია და მე. თუ ილია მოგვიწონებდა პარტიის განზრახვას, უნდა გვეთხოვნა—ეკისრნა მოჰლაპარაკებოდა ქართველ შეძლებულთა (სახეში გვყავდა განსვენებული დავით სარაჯიშვილი), რომ მით მატერიალური დახმარება აღმოეჩინოთ პარიზში გამომავალ ორგანოსათვის. ილიამ გულდასმით მოგვისმინა, მოიწონა საქართველოს ავტონომიის აზრიცა, საკუთარი ორგანოს გამოცემის საჭიროებაც აღიარა. მხოლოდაო,—გვითხრა,—კაცი დამისახელეთ, კაცი, ვინც შესძლებს ასეთს მძიმე საქმეს გაუძღვესო. თუ შესაფერი კაცი გეყოლებათ, ქონებრივად უზრუნველგყოფთო. ჩვენ არჩილ ჯორჯაძე დავუსახელეთ. სახეზე ეტყობოდა, არ მოეწონა ჩვენი დასახელებული კაცი. ცხადი იყო, ილია ჯერ ისევ იმ პოლემიკის გავლენის ქვეშ იყო, რომელიც იმის წინად ატეხილი იყო „ივერიასა" და „ცნობის ფურცელს" შორის. (არჩ. ჯორჯაძესა და ნიკ. ხიზანაშვილის შორის) ბოლოს კატეგორიულად გამოგვიცხადა—თუ უკეთესი კაცი გეყოლებათ, პირობას გაძლევთ უზრუნველ ვყო ორგანოსგამოცემის საქმეო.. ვეცადენით, დაგვემტკიცებინა არჩილ ჯორჯაძის მომზადება და შესაფერობა საგაზეთო საქმისათვისა. მაგრამ ილიას დაჯერება რაშიმე არც ისე ადვილი იყო. მგონი ისე გადაიცვალა ილია, ეს აზრი არჩილ ჯორჯაძეზე არ შეუცვლია.

გვასადილა თავის ისტორიულ კაკლის ძირში თავისებურად, გულუხვად. გამოვეთხოვეთ. ჩემთვის ეს გამოთხოვება უკანასკნელი იყო. სწორედ ოთხ წელიწადს უკან ვერაგის ხელმა ვერაგულად წაართვა საქართველოს ეს გოლიათი აზროვნებისა, სიბრძნისა და მამულისმოყვარეობისა....

**თ. სახოკია.**

## დიდებულ ილიას

ილია!

მე თვით არ ვიცი რისთვის ან რად მიყვარხარ ეგრე ძრიელ, ეგრე უსაზღვროდ, ეგზომ თავდავიწყებით.

ჩემი შენდამი სიყვარული და პატივისცემა ერთგვარი კულტია თაყვანისცემისა.

უეჭველია, როგორც ყოველს ქართველს, მეც მიყვარხარ უფრო იმიტომ, რომ სიყრმიდანვე მაღალ სწრაფვათა და იდეალებით ვიკვებებოდი ვიზრდებოდი. შენის მადლიანის სიტყვა პასუხის ზედ გავლენით ვეჩვევოდი შენებურად მეაზრნა, მემწუხრნა და მენაღვლნა ჩვენს უბედობაზე და შენებურის კაცურ-კაცობით მეშრომნა და მეჭირნახულნა ჩვენს სანატრელ მომავალზე...

და მერე... მერე... როცა შემთხვევა მომეცა პირადად გამეცნე და დაგახლოვებოდე და მრავალ წელთა განმავლობაში ხარბად მედევნა თვალყური შენის ზღაპრულის კერძო ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის, როდესაც, მიუხედავად ჩვენის წლოვანობისა და სოციალურის განსხვავებისა, შენ მაინც გამაბედნიერე გულწრფელის ნდობით და ჩუმის სიმპატია მეგობრობით, მას შემდეგ დღითი დღე, წლიდან წლობამდე უფრო ღრმა, წარუშლელის სიყვარულით და შეგნებულის თაყვანისცემით ივსება შენდამი ჩემი გრძნობა—გონება ადამიანური განცდა.

და ეხლაც, ხუთმეტი წლის შემდეგ, თუ ეგრე მწვავედ და განუკურნავად ვწუხ და ვნაღვლობ შენს სიკვდილზე, არა იმიტომ რომ იგი იყო თავზარდამცემი თავის ველურის უგნურობით და შეურაცხმყოფელი თავის უზომო ხამობით არამედ იმიტომ, რომ შენ ვერ მოესწარ შენის ლამაზი სიზრმებისა ოცნებათა განხორციელებას, ვერ ნახე შენის შორს მჭვრეტელისა და ჭკვიანისა თვალებით დროებით მოვლენილი თავისუფალი და მოუკიდებელი საქართველო, ჩვენთან ერთად შენი მლოცველი და მადიდებელი...

დიახ ვერ მოესწარ, მაგრამ შენ ხომ მარადის გჯეროდა საქართველოს უკვდავება, მისი აღდგენა და განახლება, თორემ რად გვიანდერძებდი ეგზომ ნაღვლიანს დამომავლის რწმენით გაჟღენთილ ლექს: ჩემო კარგო ქვეყანავ რაზედ მოგიწყენია?... აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია. და მეც და ყველას გვჯერა ჩემო ღვთაებრივო ილია, რომ მომავალი ჩვენია.

**ვალერიან გუნია.**

## მოგონებები ილიაზე.

„მოჰკლეს ილია!" იზრიალა ამ ხმამ ხუთშაბათ საღამოს მარიობისთვის 30 1907 წ. და მთელი თფილისი შეაზანზარა. ყველანი გავრბოდით „ისრის" რედაქციაში, სადაც მოსულიყო მოკლე ცნობა: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე". თვით რედაქციამ საღამოს ცხრა საათზე მიიღო დეპეშით ცნობა, დაუჯერებელი ამბავი ილიას მოკვლისა.

დიაღ, მოჰკლეს დიდი ჭკუით და უსაზღვრო ნებით აღჭურვილი ადამიანი, მოჰკლეს ის კაცი, რომლის პიროვნებაში ტრიალებდა გოლიათისებური ნებისყოფა, ისეთივე ენერგია და ისეთივე სული. მკვლელნი მოსტყუვდნენ ანგარიშში; მათ ეგონათ ილიას სახელს ჩრდილს მიაყენებენ ქართველი ერის თვალში; პირიქით ამ შემთხვევამ გაასკეცა ის შარავანდედი, რომელიც სიცოცხლეში ილიას ფართე შუბლს აბრწყინებდა. მთელმა ერმა, მთელმა საქართველომ კიდიდან—კიდემდე ძაძა ჩაიცვა და დიდებულად იგლოვა ილია, რომელმაც სიკვდილამდე თვის უზით ატარა საქართველოს ბედი და უბედობა.

მაგრამ მე ავცდი ჩემს პირდაპირ მიზანსა: ახლა ვილაპარაკებ ილიას ცხოვრებაზე.

ილიას ყველა მოქმედება ცხოვრებაში სწორედ დევური ჰქონდა: თუ დაიძინებდა, შეიძლება ორი დღე-ღამე სძინებოდა, თუ იგი თავის მაქსიმეს არ გაეღვიძებინა, სამუშაოდ დაჯდებოდა, დაღალვა არ იცოდა, თავზე დაათენდებოდა; ფიქრი გაიტაცებდა, რამდენიმე საათი თურმე იჯდა თავის კაბინეტში (მაქსიმეს გადმოცემით), იდაყვებზე დაყრდნობილი. გაყრუ-მუნჯებული და თუ არ თვით, სხვა ვერა ვინ გამოარკვევდა. ასეთია თვისება დიდბუნებოვანი ადამიანისა.

მე ილია ვნახე პირველად 1875 თუ 1876 წ. საგურამოში. სადაც სადღეობოთ ჩემ ნათესავ მღვდელთან ვიყავი სტუმრად. საგურამოს ეკლესია გურამიანთ ზვრების თავში, მაღლა ბორცვზე, ტყიან-ჩრდილიან ადგილზე იდგა. ეკლესიასთან ჩვეულებრივ დიდი ცეცხლი ენთო. ხალხი ფუსფუსებდა ცეცხლის გარშემო. მოშორებით ხის ქვეშ, ბუნების ხავერდზე ვიღაც იყო წამოწოლილი მხარ-თეძოზე, პაპიროზს სწევდა, პაპიროზის ცეცხლი შორიდან ციცინათელის ციალს ჰგავდა. ეს იყო თურმე ილია, რომელიც ფიქრებს მისცემოდა. ვინ იცის მაშინ ახალგაზდა ილიას გულში რა ცეცხლი ენთო. როცა ეკლესიაში გაისმა: „ქრისტე აღსდგა", მხოლოდ მაშინ წამოდგა და სხვებთან ერთად საყდარს მიაშურა. ბადრს სახეს უმშვენებდა შავი წვერი და შუაზე გაყოფილი და კისერზე ჩაშვებული შავი და გძელი თმა. ამ დღეს პირველად ვიხილე ჩვენი დიდება, ჩვენი საყვარელი ილია უკვე შემქმნელი „კაცია—ადამიანის", „გლეხის ნაამბობის", „აჩრდილის", „მგზავრის წერილებისა".

მე ჯერ „მნათობში" ვმუშაობდი, მაშინ კი, როცა პირველად ილია ვნახე „დროებაში" თანავშრომლობდი. როცა ილიამ კვირეული გაზეთი „ივერია" გამოსცა 1877 წლიდან, ილიასთან დავიწყე თანამშრომლობა. 1877 წ. ქალაქში ჩამოვედი, შემხვდა ჩემი, სკოლის ამხანაგი, პოეტი სოსიკო ბაქრაძე. "მე ილიასთან მივდივარ ბანკში და შენც წამოდი,—მითხრა მან,—იმას თავის თანამშრომლების ნახვა და გამოლაპარაკება უყვარსო" სიამოვნებით გული ამიძაგძაგდა. მივედით. გამოვიდა მისაღებ ოთახში „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი". ალერსით დაგვიწყო ლაპარაკი, ტუჩებზე სიამოვნების ღიმი უქროდა პროვინციაში ცოტა მუშები გვყავს,—დაიწყო მან,—ყველა ქალაქში გამორბის, არ გამოექცე პროვინციას სხვებისავით, იმუშავეთ ხალხში. ცნობიერება შეიტანეთ; ჩვენი ხალხი ნიჭიერი და „ჭკუის კოლოფია" ყოველივეს კარგს მალე შიიღებს; მისი გული თესლისათვის კეთილ ნიადაგს წარმოადგენს", კიდევ ბევრი რამ დარიგება მოგვცა.

ის იყო და ის „ივერიას" არ გავშორებივარ, ილიას უყვარდა თვისი თანამშრომლები. შუაში ჩაგვიჯდებოდა, პაპიროზს ულვაშზე მიიბჯენდა, ულვაშ ქვეშ ტუჩები უცინოდა და მაშინ იგი ოხუნჯობის გუნებაზე დადგებოდა ხოლმე. იმის იუმორს საზღვარი არა ჰქონდა ვაი მის დღეს, ვინც იმის იუმორის კბილებში მოჰყვებოდა!!

ილიას გარს ეხვივნენ რედაქციაში მთელი წყება მაშინდელი მწერლებისა გრიგოლი და საშა (ფრონელი) ყიფშიძენი, სტეპკო ჭრელაშვილი (ფსევდონიმი მისი—სტნოა), ნიკო ხიზანაშვილი ურბნელი), ილიკო აგლაძე იაკობ მანსვეტაშვილი (დონ-იაგო) ილიკო ბახტაძე, არტემ ახნაზაროვი (ჩიორა), შემდეგ ჩამოერივნენ იაკობ ცინცაძე თომაანთკობას ვსევდანომით (ია ეკალაძე), იროდიან ევდოშვილი გრიგოლი რცხილაძე (ზანგი) ალ. ნანეიშვილი (ნალი) პროვინციიდავ ვაჟა—ფშაველა, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები და სხვანი მრავალნი.

ილიაზე ამბობდნენ ვითომ იგი ზარმაცი იყო და მცონარე; ამას ამბობდნენ ის ვაჟბატონები, რომლებიც ილიას ცხოვრებას დაახლოვებით არ იცნობდენ. განა ზარმაცი და მცონარე ეთქმის იმ კაცს, რომელიც ყოველ დღე სწერდა გაზეთისთვის მეთაურს წერილებს, ხან ორსაც, მომენტის მიხედვით, და ასწორებდა მთელი ნომრის სტილსა. ბოლოს და ბოლოს, როცა გრ. ყიფშიძემ, ილიკო აგლაძემ, ახნაზაროვმა და სხვ., რომელნიც მუდამ რედაქციაში ტრიალებდნენ, შეითვისეს ილიას სტილი, მისი წმინდა ენა, იგი მთელს ნომერს აღარ კითხულობდა. მეთაურს და სხვა წერილებს დილით ადრე გზანიდა სტამბაში, რომელიც იქვე რედაქციასთან ჰქონდა მაქსიმე შარაძეს. თვისი წერილების კორექტურას თვით იჭერდა. ასოთ-ამწყობები დატანჯულები იყვნენ: ხან მეთაურს სულ წაშლიდა, ახალს დასწერდა, კიდევ გაასწორებდა, გადასხგადმოსხამდა წინადადებებს, მანამ ძალზე „არ გამოშიგნამდა" არ გაუშვებდა დასაბეჭდათ. მერე შემოიღო წესათ, რომ ნომრის მასალა უდნა წაკითხულიყო, რედაქციის წევრთა კრებაზე, აქ სწორდებოდა ენა წერილებისა და ამ სახით იგზავნებოდა სტამბაში. ძალიან მორიდებული იყო გასაკიცხავ წერილების ბეჭვდას, იმ წერილებისა, რომელიც გამოიწვევდა „უკბილო" პოლემიკას და რედაქციას რაიმე ჩრდილს მიაყენებდა. „რედაქცია".—იტყოდა ხოლმე ილია,—იგივე წმინდა ტაძარია, ის უჩირქო უნდა იყოს, პირნათლად ემსახუროს ქვეყანასო".

ილია, როგორც ვსთქვით, დევის ბუნებისა იყო. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დაისზე დამჯდარა და მეორე დღის ცხრა საათამდე მჯდარა სამუშაოდ. 1886 წ. ზაფხულში გორიდან ჩამოვედი და რედაქციაში დავიწყე მუშაობა, მაშინ „ივერიას" რედაქცია იყო ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე. ამ დროს იგი სწერდა დიდი ტანის მეთაურებს დიმიტრი ყიფიანის წინააღმდეგ ბანკის საქმეების გამო. მე, როგორც მასწავლებელი, ადრე ვდგებოდი და რვა-ცხრა საათზე რედაქციაში ვიყავი ხოლმე. ერთს დილას რვა საათზე მივედი, ილიას სამწერლო კაბინეტიდან სანთლის სინათლე სჩანდა, ერთი ფანჯარა კაბინეტისა სარედაქციო ოთახში გამოდიოდა. ფეხაკრეფით მივედი, ილია ზის საყელო გახსნილი და სწერს, ნაწერების ფურცლები ხრილივით გარშემო შემოუყრია. მე ჩუმად დავჯექ და გაზეთებს დავუწყე კითხვა; მაგრამ გაზეთების ფაჩუნზე შეიტყო, რომ რედაქციაში ვიღაც იყო.

რომელი ხარ მანდა? შემომეკითხა ილია. მე გამოვეპასუხე კაცო, რა დროა? განა ჯერ არ წასულხარ სახლში? მე ვუპასუხე, რომ უკვე გათენდა და აგერ მეოთხე საათია. მხოლოდ მაშინ შესწყვიტა მუშაობა და თავის მაქსიმეს უსაყვედურა: „კაცო, რაზე ჩამკალი, რატომ არ დამეხმარეო". მაქსიმე რამდენჯერმე შესულიყო, მაგრამ ისე ყოფილიყო ილია მუშაობაში გართული, რომ მისი შესვლა-გასვლა ვერ შეემჩნია.

ილია დიდი პოლიტიკოსი იყო. გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას; არც ერთს შესანიშნავ მომენტს არ გამოსტოვებდა, რომ იგი არ აღენიშნა თავის „ივერიაში" და თავისი აზრი არ გამოეთქვა. იმ ხანებში ბალკანეთში მოძრაობა იწყობოდა, ხალხი თავისუფლებას დაეძებდა, თავის დახსნას ლამობდა. ალექსანდრე ბატენბერგი გაჰგდეს, ალექსანდრე მესამე, რუსეთის ტვინის მწოველი მეფე გამორიცხეს ბოლგარელებმა თვისი ჯარიდან. ამ ამბავმა ილიაცას დასწყია; სახე უბრწყინავდა, გახარებული იყო; აღმოსავლეთში ღრუბლები იშლება, აქ ევროპის დიპლომატიური ხელი ფათურობსო. ამასთან ხმა დავარდა, რომ ნიკო მინგრელსკის გზავნიან ბოლგარიის მთავრადაო. ნიკო ილიას მეგობრობდა, აქედან დიდი იმედები დაებადა ილიასა. როგორც დიდს პატრიოტს, ილიას ამისთანა მომენტების დროს, იმედი დაებადებოდა ხოლმე საქართველოს ბედის შეტრიალებისა.

მოახლოვებულია ჟამი აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლებისაო. აღმოსავლეთის პატარა ერები ცხენის გამონასკული კუდია; ამ ნასკვს პატარა ნასკვი აქვს ხოლმე. ეს პატარა ნასკვი საქართველოა; მანამ ამ პატარა ნასკვს არ გახსნით დიდი ნასკვი არ გაიხსნებაო", ამბობდა იგი. ილიას, როგორც აკაკის, უეჭველში სწამდა, რომ საქართველო ადრე თუ მალე განთავისუფლდებოდა რუსეთს ჰახრაკიდან. ეს იმედი მასში გააძლიერა უფრო იმან, რომ ევროპა გაეცნო საქართველოს წარსულს, რუსთაველი ითარგმნა ევროპიულს ენებზე, არტურ ლეისტმა, ილიას მეგობარმა, გააცნო ევროპას საქართველო და მისი ლიტერატურა ილიამ ლეისტი ისე შეითვისა, რომ სულ მასთან იყო.

ილიას სახლი სტანკევიჩის სახლს წარმოადგენდა: ყოველ კვირა, ხუთშაბათობით, ილიასთან იარებოდნენ არა თუ მარტო რედაქციის წევრები, მთელი ჩვენი დამსახურებული მწერლები, აგრეთვე ინტელიგენცია. არც ერთი ახალი წიგნი არ გადურჩებოდა წაუკითხავი. აი ამ კრებას უზიარებდა წაკითხულის შინაარსს; შეიქნებოდა სჯა-ბაასი, კამათი, პაექრობა. ილია მძლავრი იყო ლაპარაკში; მას ხშირად ეკამათებოდა ი. გოგებაშვილი, რომელიც დიდად ნაკითხი იყო და ილიასავით მისდევდა თანამედროვე ლიტერატურასა.

ხიკა. სიტყვა დაავადდა. დაუძლურდა. სინტაქსი შეიცვალა ძირეულად: რასსიული სიწმინდის მაგიერ ათასნაირი „ნალეკი." აქედან სიტყვაში და თქმაში: მეტხორცი, მეჭეჭი, ხორკლი, ხიწვი, დაბორკება, დამძიმება, დამბლა. სიტყვამ დაჰკარგა თავისთავადობა: გაირღვა. აქედან: „დვალიზმი" (დუალიზმი სიტყვის,) ანუ სიტყვის გაბითურება. მაგალითები ურიცხვი.

მთელი ისტორია ქართული სიტყვის მონღოლების შემოსევის შემდეგ ცდაარის პირვანდელის აღდგენის. როგორც ცდა კეთილშობილი, მაგრამ ღონემიხდილი.

„განახლების ხანაში" საგულისხმოა მეტად სულხან საბა ორბელიანი. მისი „სიბრძნე სიცრუვისა" წელში გამართვაა ქართული სიტყვის.

იგი ერთგულია პირვანდელის.

„მოვიდა ჯუმბერ, აიყვანა თხა, გაჰხდა ხიდსა, და დასვა მუნ. გამოხდა, აიყვანა მგელი, გაჰხდა ხიდსა, მგელი მუნ დაუტევა და თხა ამიერ გამოიყვანა. თხა დასვა, თივა აიღო, გაჰხდა ხიდსა და თივა მგელთან დადვა. გამოხდა, თხა აიყვანა, გაიყვანა იგიც იმიერ.''

აქაც სიმარტივე და, ლაპიდარობა. „სიბრძნე სიცრუვისა" ნამდვილი მუხლია ქართული სიტყვის ვითარებაში. ამ მხრით ისიც შეუფასებელია.

***

მეცხრამეტე საუკუნეში ქართული პროზის გამართვა ილია ჭავჭავაძეს დააწვა ტვირთად. რამდენად სუსტი იყო მასში რიტმი ლექსის, იმდენად ძლიერი იყო მასში რიტმი პროზის. ბოლოს და ბოლოს მეცხრამეტე საუკუნეში მარტო ილია ჭავჭავაძე იყო დიდი პროზაიკოსი. სახეში მაქვს არა ლიტერატურული ფორმა რომანის: აქ მას სხვები სჭარბობენ (თუმცა მისი „ოთარაანთ ქვრივი" კარგი პროექტია ასეთი ფორმის) სახეში მაქვს მისი პროზაული თქმა როგორც ასეთი. აქ ის უძლეველია.

თავის თავად ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე ვერ გადალახავდა ისტორიას და პირდაპირ ვერ შეუერთდებოდა ქართული სიტყვის პირვანდელ სიქალწულეს. რასსიული „ნალეკები" მაზედაც იქონიებდენ გავლენას უთუოდ. ეს ასეც მოხდა. მაგრამ ილია ჭავჭავაძემ შესძლო ამ „ნალეკების" სხვანაირი აცდენა. მან მიიღო ისინი მხოლოდ როგორც „გადახვევის" (და არა ხინჯის) ხაზები. რასაკვირველია ქვეშეცნეულ შემოქმედებაში. აქ გაიმართა მისი სტილი. იგი არ არის სადა, მაგრამ მისი სირთულე დაბორკებაში არ გადადის. იგი არ არი სუფთა, მაგრამ მისი დანართი ხორკლებად არ გამოდის. იგი არ არის მსუბუქი, მაგრამ მისი სიმძიმე სიჩლუნგეში არ იხრჩობა. მისი სტილი: გრაგნილია, ხვეული, ხავოიანი, მტკიცეკოჭებიანი.

ილია ჭავჭავაძე არ წონის სიტყვას, არც მზერს მას, არც უსმენს. იგი ყნოსავს სიტყვას და ხელით ეხება მას. უფრო კი ყნოსავს.

ლუარსაბ თათქარიძე: ,,კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი როგორც კარგი ნასუქი კურატი... თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო, წითელ თურაშაულ ვაშლსავით ხაზხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო; გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიდად პატივსაცემი და პატივცემული ღიპი; კოტითა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები''...

მისი ცოლი: ,,ეს ამოდენა დედაკაცი ჩაგოდრებული, ჩასორსლებული ხშირად დილიდამ შუადღემდინ იდგა და გორგალსავით დაგორავდა''.

ეს აღწერა კი არა, ,,გასტრონომიაა'' პირდაპირ. ან კიდევ:

,,სასაცილო იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი. ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან; დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშამო ჩამოკიდებული... იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭამუჭად ამოშვეროდა. ქუსლებ-დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბის მურით მოთხუპნული''..

აქ პირდაპირ ყასბის დანა სჩანს.

საერთოდ: ილია ჭავჭავაძე ყნოსავს და შემდეგ გემოს უსინჯავს სიტყვას. მისთვის ეხერხება მას ასეთი გზნებით საჭმელის აწერა.

,, ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით'' ან კიდევ: ჩიხირთმა, ბოზბაში:,,მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურჩაყრილი, ჩაჟუჟუნებული ბოზბაშით სავსე მათლაფა. თუ ზემოდამაც ერთი კანჭი აძევს''-.

აქ,,ჩაჟუჟუნებული'' ყველაფერია.

მას უყვარს საერთოდ ,,მსუქანი''. თითქო ჯიქანს ეხება:

,,დადგა მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები" (,,ოთ. ქვრივი'').

აქ მარტო ერთი ,,შეკუნწლული'' რად ღირს. ან კიდევ:

,,დონდლონი, დუნენი (,,ოთ. ქვრივი'')

აქ თვითეულ სიტყვაში ,,შავი მიწა'' იშმუშნება და იდედლება.

ილია ჭავჭავაძე ,,ღონესაც'' კი სენსუალურ ათვისებით იღებს: ,,ღონის გასიება'' (იქვე).

ეს სიმსუქნე ,,ქონში'' გადადის:

,,კაცია-ადამიანში'' ხშირად არის ხსენება ,,გაქონილი ქაღალდის'' ფანჯარაზე.

ყოველი მისი სახე სენსუალურია როგორც ძირმაგარა:

ჭიის კარი ,,ისე საცოდავათ დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთ სყუნწსა, ასე გგონია, ბოძს დაუჭერია საცემლადაო''.

აქ თვითონ ,,ყუნწის'' ფონეტიკაა ხორციანი.

ან კიდევ: ,,კბილებ-ჩაცვინული ბებერ დედა-კაცის დალებულ პირსავით ამოჭვარტლილი, მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი''.

გაგძელება ზედმეტია.

ილია ჭავჭავაძის სიტყვა მსუქანია და შედედებული: მას აქვს: ჯიში, ჯილაგი, ჯავარი, ზავთი, ბარაქა, დოვლათი. ყველგან ხორცი, მაგრამ არა უძვალო: ხორცი მსუქანი, თითქმის ქონიანი. სტილი მისი არ არის პლასტიური: პლასტიკას მარმარილო უფრო უყვარს ვიდრე „მიწა." იგი ხორციელების ნოყიერებაა: როგორც ასეთი იგი: მიხვეულ-მოხვეულია, ხანდახან მიკიბულ-მოკიბული, ყოველთვის დაგრაგნილი, ოღრო-ჩოღროიანი, ჯანღიანი. მაგრამ მუდამ ფესვგძელი, მუხლმაგარი, ტანბრგე, ტოტებაყრილი. და თავიდათავი: მწიფე, თესლიანი, ოჯახიანი. ხშირად მასში ხორცმეტიცაა, მაგრამ საერო სურათში იგი მოსჩანს როგორც დიდი ხალი და ან როგორც მაგარი კორძი.

ქართული პროზა ამით არ იწურება იგი მოელის კიდევ დიდს განვითარებას. პრობლემა ასეთია: სინთეტიური შეგზნება ქართული სიტყვის პირვანდელი სიქალწულის და მონუმენტალური განსხეულება მისი ეხლანდელ ნიადაგზე.

სა-„ქმე" დიდი და მადლიანი.

**გრიგოლ რობაქიძე.**

ბოლოს საკითხები თავს ეხვეოდა სამშობლოს; როცა გაჭირდება საქმე რომელიმე საკითხის შესახებ, ილიას გაუშვებდნენ საბრძოლველად; გაიხსენიეთ მისი წერილები იანოვსკის წინაამდეგ, ქართულ დროშის შეურაცხყოფის გამო, მეგრული ენის შემოღებაზე სამეგრელოს სკოლებში. მისი სიტყვა მაშინ მეხი იყო.-ასეთი კრებები გაგრძელდა იმ დრომდე, სინამ „ივერია“ გადავიდოდა მეველეს (დ. მიქელაძის) ხელში; ილია მას შემდეგ უფრო საგურამოში ცხოვრობდა, განსაკუთრებით ზაფხულობით; ამ დროს მისი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი მოკეთე ლეისტი.

—

ყოველ წლივ ილია ხდილობდა თავის დღეობას, მკათათვის ოცსა, ელიობა დღესა. ამ დღეს საგურამო ერობას წარმოადგენდა; მთელი საგურამო. ახლო-მახლო სოფლები, ილია წინამძღვრიშვილი თავისი სკოლით, ლიტერატორები, რედაქციის წევრები, მთლად ჩვენი ინტელიგენცია საგურამოს მიდიოდა. იყო დაუსრულებელი ქართული ლრეობა, სიმღერა-თამაში, სიტყვები. ექსპრომტები, მოსწრებული ლაპარაკი და ბოლოს კოლა ერისთავისაგან წარმოთქმული მშვენიერ კილოზე ჩვენი პოეტების ლექსები, ილიას და აკაკის მთელი პოემები.

ილიას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: შინ მჯდომი იყო, გასვლა და მოვლა საქართველოს კუთხეებისა არ უყვარდა. როდესაც აკაკი ყოველს წელს შემოივლიდა ხოლმე მთელს საქართველოს, ილია თავის საგურამოს არ გასცილდებოდა. ასეთია ბუნება ქართლ-კახელისა, ის თავის კერიას ვერ გასცილდება, სხვა ბუნებაა დასავლეთის ქართველია, ის ერთს ალაგას ვერ გაჩერდება. ოცი წელი ვიცხოვრე გორში და ერთხელ არ მინახავს ილია ჩვენთან მოსული. იმ ხანებში გორის ინტილიგენციას სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ჩვენთან ხშირად, ზაფხულში, ყოველ თვე, შემოივლიდნენ ხოლმე აკაკი, გოგებაშვილი, ყაზბეგი, ივ. მაჩაბელი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ხოლო ილიას კი არც ერთხელ. ხალხი მაინც იცნობდა, მას იგი უყვარდა. აი ამის მაგალითი: 1887 წ. სამგზავროთ, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხის კავკასიის ქედების გასაცნობად გავემგზავრეთ გიორგი საძაგლიშვილის (შემდეგ კათალიკოზი კირიონი) ინიციატივით. ჩვენთან ჩვენი ბელეტრისტი ნ. ლომოურიც იყო. სწორედ 20 მკათათვეს საღამო ჟამზე მოვყევით მაღრან-დოვლეთის სიმაღლეზე, სადაც არის ეგრედ წოდებული „ყელის ტბა“ და საოცარ სიმაღლეზე აშენებული "წითელი ეკლესია“ აი აქ შეგვხვდნენ მეცხვარეები დუშეთის და თიანეთის მაზრისა; ვახსენეთ ილია, რომ დღეს მისი დღეობაა და საგურამო მხიარულობს და დღესასწაულობს დიდებულ კაცის დღეობასა. მეცხვარეები გამოგვეხმაურნენ, ჩვენ კარგათ ვიცნობთ ილიასო, ჩვენი ნუგეში იგია, როცა მივმართავთ, გვარიგებს და გვეხმარებაო. ჩვენი ხალხი გულ-ჩახვეულია; მის გულში ადგილი აქვთ იმის მოკეთეებსა. ამიტომ იყო, რომ ილიას სიკვდილის გამო მთელი საქართველო ახმაურდა, აზრიალდა.

——

ილიას ლიტერატურული მტრებიც ჰყავდა, იმის წმინდა ენას იწუნებდა ცნობილი ანტონ ფურცელაძე. ერთხელ გორში კერესელიძის ოჯახში ვიყავით შეყრილები; ვკითხულობდით ილიას "დიმიტრი თავდადებულს„ ლექსთწყობას და ენას აკრიტიკებდა ანტონი. წამოუხტა მიშა ყიფიანი, მაშინდელი ხალხოსნური მოძრაობის ბელადი, და შეუყვირა: „აბა, დაასახელე, რომელი ადგილია აქ ლექსით მოუწყობელი, სად კოჭლობს მისი ენაო.“ საზოგადოდ ანტონს არად მიაჩნდა სიწმინდე ენისა, სისუფთავე სტილისა. თვით სწერდა, როგორც მოხვდებოდა და კავშირს „და-“ს ღმერთს აცლიდა ხშირის და უალაგო-ალაგის ხმარებითა. მახსოვს, გადმოუღეთ მას მისი პოემები: „თამარ ლაზნელი“ და „ცისკარი“; ყოველ სტრიქონში რამდენიმე გრამატიკული და სტილისტიკურე შეცდომა ვუჩვენეთ. მაგრამ იმას კაცი ვერ გასტეხდა.

ილია პოლემიკაში მძლავრი იყო. ანტონი სწერდა ფელეტონურ ხასიათის წერილებს „ქერელი ბექას„ ფსევდონიმით, ილია მას საცინლად იგდებდა და იქამდე მიიყვანა ჩვენი ანტონი, რომ ამ ფსევდონიმით წერას თავი დაანება. ამან გამოიწვია ანტონში ილიასადმი სიძულვილი.

ბოლო ჟამს, როცა ანტონი ბანკში მოჰყვა სამსახურში, ილიასთან კეთილ განწყობილება დაიწყო, რაკი იმისგან დამოკიდებული იყო. ილია გრძნობდა ამას, მაგრამ ერთხელაც არ უგრძნობინებია. როცა ბანკი ორ ბანაკად გაიყო "ჭავჭავაძისტებად“ და „მაჩაბლისტებად“, ანტონი აშკარად მიემხრო ილიას გარეგნობით და ივ. მაჩაბლის ძაგებას და ლანძღვაში ამოსდიოდა სული.

სიტყვამ მოიტანა და ორიოდე სიტყვას ვიტყვი ილიას და მაჩაბლის განხეთქილების შესახებ. ილიას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: თვისი ნათქვამის, თვისი აზრის ბატონი იყო, ვერას გზით ვერ აეზრახებოდი, კრიტიკას ვერ გაუკეთებდი, თვისი აზრი შეუმცდარად მიაჩნდა; კიდევაც შეიგნებდა ხოლმე ამას, მაგრამ მაინც არ დაუთმობდა სოფიზმს მიჰყობდა ხელსა. ამ ნიადაგზე ამ ორის ჩვენის ლიტერატურის და საზოგადოების ბუმბერაზს მოუხდათ შეტაკება, რომლის დროს სასიკვდილოთ დაიჭრა მაჩაბელი. დიდს სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევსო. ილია დიდს პატივსა სცემდა მაჩაბელს; როცა ერთხელ ილია პეტერბურგიდან ჩამოვიდა, სადაც იგი ბანკის საქმეების გამო იყო წასული, სადაც მაჩაბელთან ერთად სთარგმნა „მეფე ლირი“ შექსპირისა, სიამოვნებით გვითხრა, რომ ჩვენს საზოგადოებას და ლიტერატურას ევლინება შესანიშნავი ნიჭიერი კაცი, ენების მცოდნე, ფხიზელი მოაზროვნე და ნაყოფიერი მწერალი ი. მაჩაბელი ოერთად მუშაობდნენ „დროება“—„ივერიაში“ და ნაყოფიერადაც მუშაობდნენ, მაგრამ ბანკის საქმეებში ერთმანეთს არა დაუთმესა და ჩავარდა მათ შორის შური, გაღრმავდა იგი ზოგიერთების წყალობით და დაიღუპა ჩვენთვის მძლავრი ნიჭი, მძლავრი კაცი. იქნამდე შეიპყრო ილია მაჩაბლის სიძულვარემ, რომ რაც უნდა კარგ გუნებაზე ყოფილიყო, მაჩაბლის ხსენებაზე ძარღვების აშლა დაემართებოდა ხოლმე.

განშორდა მაჩაბელი 1898 წლიდან საზოგადო ასპარეზსა, დარჩა ცალად ილია ჭავჭავაძე, რომელიც ისევ მხნედ მუშაობდა, გულში ატარებდა სამშობლოს სიყვარულს. უსათუო იმედს თვისი ტურფა სამშობლოს განთავისუფლებისას, ამიტომაც იყო, რომ უგალობა სამშობლოს ბედის საგალობელი—

> ჩემო ტურფა სამშობლო
> რაზედ მოგიწყენია,
> თუ აწმყო არა გწყალობს,
> მომავალი შენია.

=—

მოჰკლეს ილია!..... მურდალმა ხელმა დაუნთხია მას შარა გზაზე ტვინი, რომელიც ორმოცდაათი წელიწადი სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა.

წლის თავზე ციციშვილის თაოსნობით, რომელიც გურამიაანთ ქალის შვილი იყო, თფილისიდან წავიდენ ქართველი მწერლები, ინტილიგენცია და ილიას პატივისმცემელნი წიწამურს ;იქ, იმ ადგილას, სადაც დაიღვარა სისხლი ილიასი, სადაც მისი დანთხეული ტვინი ქვიშას შაერია, აღმართეს შავი ჯვარი. წიწამურისა,

**სოფრომ მგალობლიშვილი**

---

# ᲘᲚᲘᲐᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲬᲣᲗᲔᲑᲘ.

ილიას სიკვდილის ერთი წლის შემდეგ, ოლგა თადეოზის ასულმა ილიას ერთ ერთ მეგობართან საუბარში მოიგონა ილიას სიცოცხლის უკანასკნელი წუთები და მისი საშინელი წინათგრძნობა.

30 აგვისტო. შუადღისას მივედით წიწამურთან. აქ გზის პირათ იყო გრილი წყარო, რომელიც ილიას ძალიან უყვარდა. ისე არ გავივლიდით, რომ აქ არ ჩამოვსულიყავით და არ შევესვენა. ამ საბედისწერა დღესაც ჩამოვხტით. ჩვენ წყალი დავლიეთ. ილია გადიოდ—გამოდიოდა მწვანე მოლზე. მე ისევ ეტლზე ამოველ. მეეტლემ ცხენებს წყალი დაალევინა, შეაბა კიდევაც, ხოლო ილია კი აღელვებული, გაფითრებული ისევ ბოლთასა სცემდა. ყველა ვგრძნობდით, რომ რაღაც დაუტევეელ ბოლმას თუ გრძნობას შეეპყრო ილია და ვერავინ უბედავდით მისი დუმილი დაგვერღვია. ორმოც წუთზე მეტი ილია გარინდებული გადიოდ გამოდიოდა სახე დატანჯული. კარგა ხნის მერე ამოვიდა და ბიჭს უბრძანა: —გარეკეო.

ოთხი წუთის შემდეგ იგრიალა ბერდანის ტყვიამ. ილიამ სტაცა ხელი რევოლვერს და მისი უკანასკნელი სიტყვები იყო „რას სჩადიხართო“—მეტი აღარა მახსოვს რა.

---

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

**გაზეთ ,,ისარის‘‘ მმ №191. შაბათს 1 სექტემბერს 1907 წ. მოათავსა პირველი ცნობები ილიას მოკვლაზე. საგანგებოდ გადაგზავნილი კორესპონდენტი შემდეგს სწერს:,,**

ამხანაგთან ერთად მცხეთიდან საგურამოს გავემგზავრეთ ცხენებით. გავიარეთ მცხეთიდან ასე სამ ნახევარი ვერსი და გზის პირად დავინახეთ სისხლში მოსვრილი მანშეტი (სამაჯე); ამ ადგილის პირდაპირ ნიშია და სწორედ აქ მომხდარა მკვლელობა. სხვა კვალი ამ საშინელ ბოროტებისა არა სჩანს. დიდი მოძრაობაა მეურმეებისა და მეეტლებისა და ალბად ეს კვალიც იმიტომ წაშლილა.

საგურამოს რომ მივუახლოვდით, წინ შემოგვეყარა ეტლი: ტფილისში მოჰყავდათ თოფის კონდახებით ნაცემი და დაბეგვილი მეუღლე ილია ჭავჭავაძისა: მხეცებს მოხუცი დედაკაციც კი არ დაუნდვიათ და პირის სახის ძვლები თოფის კონდახებით დაუმტვრევიათ. მივედით საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლში და მოურავმა მიცვალებულების ოთახში შეგვიყვანა.

ჩვენი დროის ადამიანი ყველაფერს შეჩვეულია: სისხლსაც და დასახიჩრებულ გვამებსაც. მაგრამ მაინც ვერ გავუძელით საზარელ სურათს და თოფნაკრავივით გარეთ გამოვვარდით.

ილია ჭავჭავაძის შუბლი ბერდანის ტყვიით არის ჩანგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრსაც არა ერთისა და ორის თაობისათვის ახალი ფიქრები აღუძვრია, ბერდანის ტყვიით არის განგმირული ილია ჭავჭავაძის გული, რომლის ნაგრძნობსაც ქართველთა მრავალ თაობისათვის გული აუძგერებია და თვალთაგან ცრემლი უღვრევინებია. და ამის ჩამდენი საბედისწერო ტყვია ქართველის გამსროლილია!

ათის ტყვიით არის განგმირული საბრალო ახალგაზდა ბიჭი, თარაშვილი, რომელიც ილიას ახლდა. გადარჩენილა მარტო მეეტლე, საგურამოელი ბიჭი თედო. ბოროტების თვალით მნახველი მარტო ეს მეეტლეა და ისიც ისეთ შეშინებულსა ჰგავს, რომ იმის ნალაპარაკევიდან მთელის შემთხვევის წარმოდგენა შეუძლებელია: ოთხი კაცი დაგვხვდა, თეთრ ჩოხებში გამოწყობილი და აფიცრის ეპოლეტებიანებიო, რუსულად ლაპარაკობდნენო, მოგვცვივდნენ და ეს საქმე დაგვმართესო; ცნობით ვერავინ ვიცანიო. ეს არის და ეს.

ჭავჭავაძის მეუღლეს არაფერი არ ახსოვს, გარდა იმისა, რომ ილიას დაუძახნია ქართულად—რას სჩადიხართო და რევოლვერიც ამოუღია. საბრალო ქალმა ჯერაც არ იცის, რომ ილია მოკლულია: გონს რომ მოსულა და მოუკითხავს ქმარი, უთქვამთ—ქალაქში დაბრუნდაო.

მკვლელობის შემდეგ არ გასულა თხუთმეტი წუთი, რომ ილიას მოურავი სამის სტრაჟნიკის თანხლებით შემთხვევით მისულა ბოროტმოქმედების ადგილზე—ილიაცა და მისი მხლებელიც უკვე უსულონი იყვნენ თურმე, ილიას მეუღლე კი მტვერში ეგდო და თავს აქეთიქით ახლიდა ქვებს. დაჭრილი ქალი გასისხლიანებულ ეტლში ჩაუსვამთ, მოკლულები კი შემთხვევით მიმავალ ურემზე დაუსვენებიათ და ისე წაუღიათ საგურამოში.

მოკლულები სულ გაძარცულნი იყვნენ: არა სჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ჟილეტი, ოქროს საათი, ოქროს სათვალე და პატარა ბოღჩა, სადაც საბუთის ქაღალდებს ინახავდა ხოლმე, აღარც საფულე ქისაა. მხლებელისათვის კი ჩექმებიც გაუხდიათ; აღარ სჩანს აგრეთვე რევოლვერები, რომელიც ილიასა და მის მხლებელს ჰქონიათ თან.

საკვირველია სტრაჟნიკებისა და ადგილობრივ პოლიციის მოქმედება: როგორც გადმოგვცეს, სწორედ 15—20 წამის შემდეგ შეიტყვეს მკვლელობის ამბავი და დროზედ არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ; ურიადნიკმა სთქვა —поскакал туда, поскакал сюда-ო, იქვე კი სამის ვერსის მანძილზე ყაზახების პოსტია და პირველ ხანებში მეტი არაფერი გაუკეთებიათ და არც საკვირველია: ილია ჭავჭავაძე სტრაჟნიკი არ ყოფილა.

---

# ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘ

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მსახიობმა შალვა დადიანმა, რომელიც ამ ჟამად ქიზიყში იმყოფება დასასვენებლად, რედაქციის თხოვნით შეკრიბა დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები ფიროსმანისშვილზე რომელიც ყოფილა ქიზიყიდან (სოფ. მირზაანი). პოეტმა შალვა აფხაიძემ ბ-ნ დადიანისგან მიიღო შემდეგი წერილი:

ძმაო შალვა!

„ამ ჟამად ქიზიყში ვიმყოფები, სიღნაღის მაზრის ს. მირზაანში. გავიგე, რომ ამ სოფელში მთელი უბანი ფიროსმანიშვილებისა, 30—40 კომლამდე იქნება თურმე. რაღა თქმა უნდა გულმა არ მომითმინა და ჩემს მასპინძელს, ვასო ალუღიშვილს ვთხოვე წავეყვანე ამ უბანში ეგების რაიმე გავიგო ნიკო ფიროსმანისა. 29 აგვისტოს გადავედით ფიროსმანებში, და არამც თუ გავიგეთ რამე, არამედ აღმოვაჩინეთ ნიკოს უფროსი მკვიდრი და, ფეფე ასლანის ასული ბარამაშვილისა. გაცნობისას პატარა კურიოზიც მოხდა: ამ დამ კინაღამ თავის ძმათ მე არ მიმიღო და თვალებ აცრემლებულმა. სიხარულისაგან კინაღამ არ გადამეხვია. არ სჯეროდა, მატყვილებთო, ეს არას ჩემო ძმაო, ესეთი მაღალი იყოვო, დიდი ხანია არ მინახავს. ძალიან ჰგავსო. დამშვიდების შემდეგ გამოვკითხე და ყოველივე თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე. ეხლა გიგზავნი. გიგზავნი აგრეთვე ნიკოს დისწულისა და მისივედა ხლიდრათ ნამყოფის განახსენებს.

მე მგონია ყოველივე საინტერესოა და საჭიროებს გამოქვეყნებას. აგრეთვე კარგი იქმნება, ჩემის ფიქრით, ტიციანი როგორმე ჩამოვიდეს აქ, რომ უფრო სრული ცნობები შეჰკრიფოს თავის მომავალ მონოგრაფიისათვის. გრიგოლს გადაეცი ჩემი გულითად სალამთან ერთად, ის მოსაზრებაც, რომ კარგი იქნებოდა თუკი განათლების კომისარიატით უნდა სულ მცირეს, მარა მაინც მუდმივ პენსიას გაუჩენდეს ამ ქალს, ნიკოსს დას. მე ამაზე აქ არ მითქვამს-რაი მაგრამ ეს გაამხნევებდა ამ კუთხეს და წააქეზებდა აქაურ ნიჭიერ ახალგაზდობას კულტურულ საქმიანობისადმი.

ასე რომ წრეულს ქიზიყის ზოდიაქოა, ეტყობა: რუსთაველი, ფიროსმანი“

### ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ.

ფ ე ფ ე  ბ ა რ ა მ ა შ ვ ი ლ ი ს ა. წარმოსადეგი, ჰარმაგი, დარბაისელი დედაკაცი. თვალებ-ჩხია, მწყაზარი სახის ადამიანი:

მე „ნიკალას“ და ვარ. 57 წლის ვიქმნები და მაზე 2-3 წლით უფროსი ვარ.

ფიროსმანისშვილები აქ, მირზაანში ვცხოვრობთ, 40 კომლამდე ვიქმნებით, თვითონ კი ვანო ბარამაშვილზე ვარ გათხოვილი.

ქმარი ცოცხალი არა მყავს. მყავს 2 დავაჯკაცებული ვაჟი და 4 ქალი. მეცა და ნიკოლაც აქ მირზაანში ვართ დაბადებულნი. მამა ჩვენს ასლანი ერქვა და სულ სამი შვილი ვყავდით ნიკოლა, მე და ერთი ქალი, ჩვენზე უფროსი, რომელიც ერთ იმერელ ცოლად ჰყავდა ქალაქში. სიძის გვარი არ მახსოვს.

დედა ზემომაჩხაანური იყო ტოვლიკაშვილის ქალი თეკლე.

მამა უბრალო სოფლის კაცი იყო და ადრე გარდაიცვალა. ამავე დროს შიმშილობაც ჩამოვარდა და ჩვენმა იმერელმა სიძემ ობლები დედასთან ერთად ქალაქში წაგვასხა. მაშინ მე დაახლოვებით 9 წლისა ვიქნებოდი და წავალ ნიკოლა 7-ს.

ქალაქში სიძეს ცოლი მოუკმედა და დედა ჩვენი თეკლეც გარდაიცვალა. ამის გამო მე სოფლად დავბრუნდი და ნიკოლა კი იქ დარჩა.

მას შემდეგ ხშირად ჩამოდიოდა ჩემთან ნიკოლა. მარიგებდა ჭკუას მასწავლიდა. ერთხელ ქალაქშიც წამიყვანა.

როდესაც ჩამოვიდოდა 2 კვირით მაინც დარჩებოდა ხოლმე.

აქაც, სოფელშიც ხატავდა და დახატულს ნაცნობ-მეგობრებს უჟეშქაშებდა, არა ყიდდა.

ერთხელ ქვემო-მაჩხაანში ვილასაც „ვივესკა“ დაუხატა.

მისი ნახატებიცა მქონდა, წერილებიც. ვინახავდი, მაგრამ ერთ დროს წვიმა ჩამოგვივიდა სახლში და დამილპო. შემდეგ კიდევ ჩალური გადავაკეთეთ და სრულებით დამეკარგა.

ხასიათით მეტად კარგი ხასიათის იყო, კეთილი, ადამიანები უყვარდა, მაგრამ ისე კი ფიცხი იყო. უცბად აპილპილდებოდა ხოლმე.

ძალიან უყვარდა ღვინის სმა. აქ რომ ჩამოვიდოდა, მომეტებული ხანი ქეიფობდა.

ოჯახი არასოდეს არ ჰყოლია. გამიგია, რომ სიყვარელი ყვანდა. ვისი ქალი იყო არ ვიცი.

არც შვილი უნდა ყვანდეს. 9 წელიწადია არ მინახავს და არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი

**პართენ ივანის ძე ბარამაშვილისა.**

მორჩილი ტანის შავ- ტრუხა ვაჟკაცი.

მე ფეფეს შვილი ვარ, ნიკოლას დისწული. 28-სა ვიქნები და უფრო ბავშობისა მახსოვს მისი ნახვა.

მახსოვს რომ ხატავდა. ხატავდა მთვარეს, ვარსკვლავებს, ანგელოზებს, წყლის მზიდავ ვირებს, ქორწილს და სხვ.

ერთხელ კრასკები სიღნაღიდან ჩამოატანინა და აქ ხატავდა ვივესკას. არ ვიცი ვის გადასცა, ან ვისთვის უნდოდა.

ქეიფი უყვარდა. ფიცხი იყო. რომ გავაჯავრებოდა, „გამროზვის ხოლმე“.

—

**სიმონ გრიგოლის ძე პოპიაშვილი.** სრულიად გაჭაღარავებული, მკვრივი ტანისა და სახიერი ქიზიყელი.

60 წლისა ვარ, ხელობით დურგალი. ქალაქში დიდხანს ვარ ნაცხოვრები და ნიკალასთან და[illegible]ადრათ ვიყავ, ამისთვის ვიცი მისი ამბავი,

მე მაშინ დავუახლოვდი, როდესაც ჯერ კიდევ რკინის გზაზე კონდუქტორათ იყო. ავად გახდა და ამისთვის დაეთხოვა სამსახურს. თვითონ აღარ ინდომა:

ამასობაში ტიტიკო ალუღიშვილს გაეცნო და ქალი მოუნათლა.

და ორივენი შეამხანაგდნენ და იქ საცა ეხლა მელიქ აზარიანცის სახლია, ვერის დაღმართთან, საცა კონკა ჩაუხვევს იქ მაშინ ხრამი იყო- ამ ხრამის პირას გახსნეს „ბუდკა“ სარძეო „პროდუქტებით“ ვაჭრობა დაიწყეს. მეც დახლიდრათ ვიყავ მათთან. ერთი წლის განმავლობაში კარგათ ვაჭრობდენ. შემდეგ თავიანთი სავაჭრო იარმუკაზე გადიტანეს, საცა 2-3 წელიწადი მაინც ერთად ვაჭრობდენ. ბოლოს ამხანაგები რაღაზედაც აიშალნენ და ნიკალამ ცალკე მოაწყო სავაჭრო.

მე ნიკალას გავყევ.

იმავ ხანებში სპარსეთის კონსულმა ნიკალის სავაჭროზე გაზეთში წერილი მოათავსა, ნიკალამაც უპასუხა და გაიმართა კამათი. მთელი ქალაქი დაინტერესებული იყო ამ კამათით. ეს, თუ არა ვცდები, არეულობის წინეთ უნდა ყოფილიყო, ასე 1902-03 წლ.

ხატვით ხატავდა დუქანში, მაშინ როცა მოცლილი იყო.

ზაკაზები არ მახსოვს. თავისდა გუნებისათ ხატავდა.

სმა უყვარდა. უფრო არაყს ეტანებოდა. ხაპუშ-ხაპუშ სვამდა, ყოველ დღე.

ოჯახი არა ჰყოლია. ერთი ფრანგის ქალს ყვარობდა მგონი ერთი წლის განმავლობაში. ქალი ცალკე ნომერში ცხოვრობდა. სახელი არ მახსოვს.

მეგობრები საერთოდ არა მგონია ვანმე ჰყოლოდეს. ნაცნობიაბა კი, უფრო ხშირი, ვანო ხოსიტაშვილთან ჰქონდა, რომელიც ეხლა იარმუკაზე ნანადირევითა ვაჭრობს.

საერთოდ ვაჭრობა ნიკალას კარგი ჰქონდა, მაგრამ მეტად გულკეთილი და მხარჯველი კაცი იყო და ამის გამო ბოლოს დახურა თავის სავაჭრო და დიდუბეს გადავიდა.

შემდეგ აღარ შევხვედრივარ და არც ვიცი რა მოუვიდა.

—

ამავე სიმონ პოპიაშვილმა მოგვაწოდა შემდეგი ცნობა ფიროსმანაშვილთა გვარის შესახებ.

რას ნიშნავს სიტყვა ფიროსმანი?

— აღმოსავლურათ „ფირი“ ნიშნავს ხელობას და „მანი“ კიდევ კაცს, ასე რომ ფიროსმანი ხელობის კაცი ყოფილა.

**შალვა დადიანი**

---

**ჩვენი გაზეთის რედაქცია გადავიდა ახალ სადგომში პუშკინის პასსაჟში (ერევნის მოედანთან) ახალი ტელეფონის № 8—04.**

---

რედაქტორი: **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ.**